# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 18 თებერვალი 1997 №18 (383) | ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი მეტოქეებია: უნგრეთი და ბელგია. მესამეობაზე რუსეთი იბრძვის



საქართველოს 16 წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რევაზ გაგუამ ასეთი კომენტარი გაუკეთა კენჭისყრას:

— მეტოქეთა შესახებ ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, თუმცა, არც ის უნდა იყოს საკამათო, რომ ფინალში შემთხვევით არ გადიან. ისიც უეჭველია, რომ ნებისმიერ მეტოქესთან ძალების სრული მოკრება დაგვჭირდება.

**— როგორ აპირებთ მეტოქეთა შესახებ ინფორმაციის მოპოვებას?**

— ფედერაციის იმედი მაქვს. შევეცდებით, შესარჩევ ჯგუფებში გუნდების თამაშების ჩანაწერი მოვიპოვოთ. შესაძლოა, მათ ამხანაგურ შეხვედრებსაც დავესწროთ და შევაფასოთ მეტოქეები. რაც შეეხება ბელგიას, ლიეჟის „სტანდარდის“ ახალგაზრდულ გუნდში მოთამაშე ლაშა ჯაკობიას იმედი გვაქვს: იგი, ალბათ, ბევრ საინტერესო ცნობას მოგვაწვდის. ჯაკობიას ბოლო შეკრებაზე გამოვიძახებთ და ბელგიელებზე მაინც გვექნება გარკვეული წარმოდგენა.

**— მესამე მეტოქე ჯერ არ გამოვლენილა. ამ შესარჩევი ქვეჯგუფის თამაშებზე დასწრებას არ აპირებთ?**

— ჯერ ისიც არ ვიცით, შეჯიბრება სად ჩატარდება — რუმინეთში თუ იტალიაში. იქ გამგზავრებას დიდი თანხა დასჭირდება, სჯობს, ეს თანხა ჩვენს ნაკრებს მოვახმაროთ და ისე მოვემზადოთ, როგორც წესი და რიგია.

**— ფინალამდე დარჩენილ დროში რას აპირებთ?**

— 24 თებერვლიდან თბილისში შევიკრიბებით და 5-6 საკონტროლო მატჩსაც გავმართავთ. უკვე დაგეგმილი გვაქვს „შევარდენთან“ და II ჯგუფში მოთამაშე „35-ე სკოლასთან“ შეხვედრა. მალე გაირკვევა, როდის შევხვდებით „დინამო 2“-ს და „მორკინალს“. კიდევ რამდენიმე გუნდთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ახლახან „ნორჩი დინამოელი“, სადაც ნაკრების 7 კანდიდატი გამოდიოდა, შეხვდა „შევარდენს“ და 1:0 გაიმარჯვა. ჩემი აზრით, ურიგოდ არცერთს უთამაშია.

**— ეროვნული ნაკრებების მიხედვით 16 წლამდე ბავშვებზე მსჯელობა უპრიანი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ბელგია და უნგრეთი ევროპული ფეხბურთის გრანდებად არ ითვლებიან. ეს ჯგუფურ ტურნირში გამარჯვების იმედს ხომ არ გისახავთ წინასწარ?**

— იმედი არ უნდა დავკარგოთ და არც გამარჯვების სურვილი უნდა გვაკლდეს ნებისმიერ მეტოქესთან. თუმცა, თქვენი არ იყოს, ბავშვთა ფეხბურთზე ეროვნული ნაკრებების მიხედვით ვერ იმსჯელებ. აქ ბევრი განსხვავებული ნიუანსია. თურქეთი არასოდეს მიეკუთვნებოდა გრანდებს, მაგრამ შარშან ამ ასაკში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. ეს მაგალითი არ გვავიწყდება და უბრძოლველად დანებებას არ ვაპირებთ, უპირველესად ჯგუფიდან გასვლისთვის ვიბრძოლებთ. თუ ეს შევძელით, მერე ვნახოთ — მადა ჭამაში არ მოდის? გადამწყვეტი უნგრელებთან პირველი შეხვედრა იქნება — უნგრეთმა ხომ თავის ქვეჯგუფში პორტუგალიას აჯობა, პორტუგალიელები კი ბოლო ორი წლის მანძილზე სხვადასხვა ასაკის მოზარდ[თა] ჩემპიონატებში დიდ წარმატებას აღწევენ. უნგრეთიც ამიტომ მიმაჩნია ანგარიშგასაწევ ძალად. თუმცა, ვიმეორებ, რაც უნდა ძლიერი და ღირსეული მეტოქე გვყავდეს, უშიშრად და ლაღად უნდა ვეთამაშოთ და ჩვენი შესაძლებლობებიც ბოლომდე გამოვავლინოთ. ჩვენი მიზანი ეს არის. რა თქმა უნდა, თავს ზემოთ ძალა არ არის, მაგრამ რატომღაც იმედი მაქვს და მჯერა ჩვენი ბიჭების.

**— როგორც შევიტყვე, თქვენს ნაკრებს მალაიზიის ტურნირზე იწვევენ...**

— არის ასეთი წინადადება, ნოდარ ახალკაცი მზად არის კიდეც ეს ტურნე დააფინანსოს. ახლა ოფიციალურ მიწვევასლა ველოდებით მალაიზიელებისგან.

**— ტურნირში რომელი ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას?**

— ეს იქნება ოთხთა ტურნირი. ჩვენს გარდა ავსტრალიის, ეგვიპტის და მასპინძელთა ნაკრებები ითამაშებენ. მაგრამ ისინი ჩვენს ბავშვებზე ერთი წლით უფროსები არიან.

**— ეს ბიჭებისთვის კარგიც უნდა იყოს...**

— რა თქმა უნდა. ამათ ასაკში ერთ წელს დიდი მნიშვნელობა აქვს. ვნახოთ, რა შეგვიძლია. ეს ტურნირი ბავშვების მომზადების დონესაც დაგვანახებს და მათ ნაკლოვანებებსაც გამოამზეურებს. ვიმეორებ, თუ ყველაფერი გადაწყდა, ეს იქნება საუკეთესო ვარიანტი ნაკრების მოსამზადებლად. ტურნირი ხომ ქვეჯგუფის თამაშების ერთგვარი მოდელია. ტურნირზე ფეხბურთელებს შედეგს არ მოვთხოვ, მას მოთამაშეთა მომზადების და გუნდის შეთამაშების მიზანი ექნება. იმ მოთამაშეთა ვინაობასაც დავადგენთ, ვინც ფინალში ითამაშებს. აი, ფინალში კი უკვე შედეგი იქნება მთავარი.

**— ამჟამად ნაკრების კანდიდატები შინ არიან. ახერხებთ გაკონტროლებას?**

— ვახერხებ — რაიონების მწვრთნელების დახმარებით. აჭარიდან ოთხი კანდიდატი გვყავს, რომლებიც შოთა ჭეიშვილისა და ასლან ბალაძის მეთვალყურეობით ვარჯიშობენ. ასევეა ზუგდიდშიც, საიდანაც მეკარე კალანდია ავიყვანეთ. ერთი სიტყვით, მაქვს ინფორმაცია, რომ ნაკრების ყველა კანდიდატი კეთილსინდისიერად ეკიდება საქმეს. მხოლოდ ყვარლელი სომხიშვილი ვერ ვარჯიშობს, როგორც წესი და რიგია, მაგრამ იგი მალე თბილისში ჩამოვა და აქ მოემზადება.

**მერაბ მამულაშვილი**

16

UEFA

UNDER-16 Championship

13 თებერვალს ჟენევაში, უე-ფას შტაბ-ბინაში შედგა 1980 წლის დაბადებულთა შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა. მეტოქეები, გერმანიაში რომ გაეჯიბრებიან ერთმანეთს ჩემპიონობისთვის, ასე განაწილდნენ:

### A ჯგუფი

გერმანია
(იუგოსლავია, ისრაელი, ალბანეთი)
შვეიცარია
ჩრდილო ირლანდია

### B ჯგუფი

პოლონეთი
(კვიპროსი, ლიხტენშტაინი, ავსტრია)
ესპანეთი
უკრაინა

### C ჯგუფი

უნგრეთი
საქართველო
ბელგია
(იტალია, აზერბაიჯანი, რუმინეთი, რუსეთი)

| | |
|---|---|
| **28 აპრილი** | |
| უნგრეთი-საქართველო | პოლზი |
| ბელგია-C 4 | შიონბერგი |
| **30 აპრილი** | |
| უნგრეთი-ბელგია | შვერინი |
| საქართველო-C 4 | ლიუბტეენი |
| **2 მაისი** | |
| C 4-უნგრეთი | ნოიშტადტი |
| საქართველო-ბელგია | ნოიკოლსტერი |

### D ჯგუფი

(საფრანგეთი, თურქეთი, მალტა)
სლოვენია
სლოვაკეთი
ისლანდია

**მეოთხედფინალი**

| | |
|---|---|
| **5 მაისი** | |
| ა A1 - C2 | ჰილდესჰაიმი |
| ბ C1 - A2 | ნინბურგი |
| გ B1 - D2 | ბოუკებურგი |
| დ D1 - B2 | ლებირტე |

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| **7 მაისი** | |
| ა - გ | ბრაუნშვაიგი |
| ბ - დ | მინდენი |

**მესამე ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| 9 მაისი | გარბსენი |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| 10 მაისი | ჰალე |

## ბარევ ძეს ჰელოუმდე

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნულ გუნდს ამხანაგური მატჩისთვის სპარინგ-პარტნიორი გამოუნახა. როგორც გუშინ შევიტყვეთ, 30 მარტს, „უემბლიზე“ თამაშამდე ზუსტად ერთი თვით ადრე, თბილისს სომხეთის ეროვნული გუნდი ეწვევა და 17 საათზე საქართველოს ნაკრებს შეხვდება. იმავე დღეს ჩვენი მომავალი მეტოქე ინგლისის ნაკრები „უემბლიზე“ მექსიკასთან გაივარჯიშებს.

## მოემზადეთ ხუთშაბათისთვის

ლონდონიდან თბილისში გუშინწინ დაბრუნებულმა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა გვაცნობა, რომ ხუთშაბათს მისი, როგორც ნაკრების მწვრთნელის, პირველი პრეს-კონფერენცია გაიმართება. შეხვედრის ზუსტ დროს და ადგილს ხუთშაბათის „სარბიელში“ შეიტყობთ.

## ქართველები ბერძნებისთვის ისრაელში ემზადებიან

26 თებერვალს თბილისში გასამართი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველოსა და საბერძნეთის კალათბურთელებს შორის, რა თქმა უნდა, უდიდეს ინტერესს იწვევს. ბერძნები ევროპული კალათბურთის ელიტაში არიან და ესოდენ ძლიერი მეტოქისთვის საქართველოს ნაკრებს ჯერ არ უმასპინძლია.

ამ შეხვედრისთვის უკეთ მომზადების მიზნით საქართველოს ნაკრები კვირას ისრაელს გაემგზავრა. თელ-ავივის სიახლოვეს, ვინგეიტის შესანიშნავ სპორტულ კომპლექსში ჩვენი კალათბურთელები ერთკვირიან შეკრებასაც მოაწყობენ და ორ საწვრთნელ მატჩსაც გამართავენ. სპარინგ-პარტნიორები ადგილზე შეირჩევა. ნაკრების მწვრთნელებმა ბესო ლიპარტელიანმა და ნოდარ ქორქიამ ამ შეკრებაზე წაიყვანეს 11 კალათბურთელი: რეზო ჩხეიძე, დუდუ დადიანი, დავით თორთლაძე, ვახტანგ ნაცვლიშვილი, გია სანაძე, ლევან ქარაბაკი, ნუგზარ კოკოლიშვილი, ამირან ორმოცაძე (ყველა თბილისის „ვითადან“), ვახტანგ ბეჟანიშვილი, ირაკლი მაისურაძე და ირაკლი ხოშტარია (სამივე „დინამოდან“). როგორც ხედავთ, ბელარუსთან მატჩის შემდეგ გუნდში გარკვეული ცვლილებებია: გუნდს დაემატნენ გამოჯანმრთელებული სანაძე, აგრეთვე დინამოელები ხოშტარია და მაისურაძე. კვლავ არ იქნება ვითელი კახა შენგელია, რომელსაც წელი აქვს სამკურნალო. რაც შეეხება ლეგიონერებს, ისინი თბილისში მატჩის წინა დღეს ჩამოვლენ. გახსოვთ, ალბათ, წინა შეხვედრაზე ვერც ბერძენიშვილი და ვერც სტეფანია ვერ ჩამოვიდნენ და გუნდმა, ფაქტობრივად, ძირითადი ცენტრების გარეშე ითამაშა. ახლა როგორ იქნება საქმე? ამის შესახებ გვესაუბრა კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი როლანდ ხომერიკი: ჩვენი მხრიდან ყველა პირობაა შექმნილი, ამ მოთამაშეების მატჩზე ჩამოსასვლელად. ბერძენიშვილის გამოშვების თაობაზე დავუკავშირდით სლოვაკეთის კალათბურთის ფედერაციას. მათ ბილეთის ფული მოგვთხოვეს და ჩვენ ეს თანხა უკვე გადავუგზავნეთ. ალბათ, არავითარი პრობლემა არ უნდა გაჩნდეს სტეფანიას ჩამოსვლის თაობაზეც.

**— სხვა პრობლემა ხომ არაფერია?**

— შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციული პრობლემები მოგვარებულია. ერთ-ერთი ისაა, თუ სიცივე იქნა, ისევ გასათბობი დანადგარების გამოყენება დაგვჭირდება.

**— როდის ჩამოდიან გუნდები თბილისში?**

— საქართველოს ნაკრები 24-ში, დილის 6 საათზე იქნება თბილისში, ბერძნებმა კი შეგვატყობინეს, მატჩის წინა დღეს, 25 თებერვალს ჩამოვალთო.

**კოტე მგალობლიშვილი**

## ვივარგეთ, მაინც წავაგეთ

ფრანგული რაგბის ფრიად ავტორიტეტს ვერ დაუთრგუნავს ქართველი „ბორჯღალოსნები“, პარასკევ საღამოს პარიზის „სტად ფრანსზე“ რომ ეთამაშნენ მასპინძელთა რიგით, მათებური საზომით მესამე ნაკრებს.

საქართველოს რაგბის კავშირის გენერალური მდივნის — **გია კუბლაშვილის** ცნობით, თამაშის დროს წვიმდა. „ადიდასის“ სლიპინა ბურთსაც ჩვენი ბიჭებისთვის ბევრი კარგი წამოწყება ჩაუშლია, მაგრამ მაინც კარგი ბურთაობა და თანასწორ მეტოქეთა ბრძოლა გაჩაღებულა. მართალია, საქართველოს ნაკრებმა წააგო, მაგრამ ჩვენები თამაშით კმაყოფილი დარჩენილან: მათი მიზანთა-მიზანი ხომ პორტუგალიასთან 20 აპრილის მატჩისთვის მომზადებაა.

მსაჯობდა მავანი შოტლანდიელი. ფრანგების ამ გუნდმა ერთი თვის წინ ირლანდიის იმავე რანგის ნაკრები სტუმრად დაამარცხა. ქართველებმა თამაში ასეთი შემადგენლობით დაიწყეს (15 - 9; 1 - 8): იურინი; ძოწენიძე, ჩიქვინიძე, ალანია, ბუგიანიშვილი; მაჩიტიძე მოდებაძე — ფირცხალავა, ობოლაძე (პაპ), მთიულიშვილი; რაფავა, ნადირაძე; კობახიძე, ლაბაძე, გიუნაშვილი. შეცვლაზე შევიდნენ ცაბაძე, ბესელია და ხუციშვილი.

ანგარიში მაჩიტიძემ არეკნით გახსნა. მერე მასპინძლებმა ორი საჯარიმო შეგვიგდეს, მაგრამ ამას იერიში იურინის ჩართვა მოყვა. „ბეირუთამ“ ბურთი ფეხით წინ გაიგდო და ბუგიანიშვილმა ლელო გაიტანა 10:6.

შესვენებამდე ფრანგებმა 5-მეტრიანი შერკინებიდან გაგვიტანეს ლელო, მერე კი ერთხელაც მიაღწიეს მიზანს და 23:13 მოგვიგეს.

„ბორჯღალოსნები“ საფრანგეთში კიდევ ოთხ თამაშს გამართავენ, შინ კი 27 თებერვალს დაბრუნდებიან.

**გურამ ხელაშვილი**

## ვორსკლა 4:1 დინამო

**დინამო:** ჰანტურია, კალაძე, ჭელიძე, დიდავა, ცქიტიშვილი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (კვირაცხელია), მუჯირი (ზამთარაძე), კერძევაძე, ყიზილაშვილი, ჩხაიძე

0:1 იარემჩუკი (30), 0:2 დიჩკო (51 პ), 0:3 კოზზარი (60), 1:3 გოგიჩაიშვილი (61), 1:4 კოზზარი (65)

პოლტავის „ვორსკლა“ უკრაინის ჩემპიონატში კიევის „დინამოს“ უდგას კვალში. ის კი არა, პირველ წრეში პოლტავაში 4:3 მოუგო კიდეც, ოდესაში კი ბურიაკის „ჩერნომორეცი“ სულაც 3:0 გაანადგურა. ორი კვირის წინ „ვორსკლამ“ ამხანაგურ მატჩში ასეთივე ანგარიშით დაამარცხა ვენის „რაპიდი“ და რა გასაკვირი იყო, ყურებჩამოყრილი „დინამო“ ბრძოლუნარიანი არ ყოფილა. შესანიშნავად ითამაშეს ვეტერანებმა ყოფილმა კიევის დინამოელებმა, ორმა ივანმა — 40 წლის შარიმ და 35 წლის იარემჩუკმა. პირველი გოლი ამ უკანასკნელმა გაიტანა, როცა ჰანტურიას შეცდომის შემდეგ მცველებმა ჩვენი მეკარე ვერ დააზღვიეს. იარემჩუკმა ბურთის გასწორებაც მოასწრო, დამუშავებაც და კარში ძლიერად დარტყმაც. მეორე ტაიმი დაიწყო და კერძევაძე მარჯვენა ფლანგზე ოთხ თუ ხუთ კიეველს გასცდა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა პირდაპირ ხელებში დაურტყა ბურთი. ფორტუნამ უმალ დაგვსაჯა, მალე პენალტი დავიმსახურეთ. იარემჩუკი კალაძემ და ცქიტიშვილმა ერთად მოცელეს. ისევ კონტრშეტევაზე დაგვიჭირა „ვორსკლამ“ და იარემჩუკის პასით კოზზარმა თაური შეგვიგდო 0:3! მაყურებელმა დაცინვაც კი დაგვიწყო, ესაა თბილისის „დინამო“? ამის მერე გაბრაზებულმა ყიზილაშვილმა საჯარიმოს გასწვრივ ექვსი ფეხბურთელი მოატყუა და იმდენი ქნა, ძირს დასცეს. საჯარიმო ბრწყინვალედ შეასრულა გოგიჩაიშვილმა — კედელს გადააცილა და მეკარე გააცურა — 1:3. შემდეგივე შეტევა — ყიზილაშვილის ბრწყინვალე რეიდი და მეკარესთან პირისპირ გასვლა გოლით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ დათომ მეტად უხეიროდ გაიგდო ბურთი და მომენტი გააცუდა. მერე ისევ იარემჩუკის ჩაწოდებისას ჩვენმა მცველებმა ვერ ივარგეს და კოზზარს მეოთხე გოლი გაატანინეს. მატჩის მიწურულს კი ცქიტიშვილმა საფეხბურთო საოცრება ჩაიდინა: თავის საჯარიმოში მიიღო ბურთი, დაიძრა, ათიოდ წამში გზადშემხვედრი ყველა უკრაინელი მოატყუა, მეკარესთან პირისპირ გავიდა, ისიც კარიდან გამოიტყუა და... ქუსლით დაუტოვა ბურთი გოგიჩაიშვილს, რომელმაც ათი მეტრიდან ორიენტაციადაკარგულ მეკარესა და კარს გადააცილა ძლიერად დარტყმული. ისე, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ახალგამოჯანმრთელებულმა გოგიჩაიშვილმა ყველა მატჩი ჩინებულად ითამაშა და აკი „ვორსკლასთან“ საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი — ტელეფონის აპარატი ირგუნა.

თბილისის „დინამომ“ აშხაბადში გამართულ თურქმენეთის პრეზიდენტის საფარმურატ ნიაზოვის თასზე ოთხიდან ვერცერთი შეხვედრა ვერ მოიგო და მეშვიდე ადგილი დაიკავა.

# ეგ არის თქვენი დინამო?

მატჩი 7-8 ადგილისთვის

## დინამო 1:1 ნურავშონი

პენალტებით 5:2

**დინამო:** ჰანტურია, კალაძე, ჭელიძე, დიდავა, ცქიტიშვილი, გოგიჩაიშვილი (მაჭავარიანი 46), კვირაცხელია, მუჯირი (კიკნაძე 71), ჩხაიძე, დემეტრაძე, ხომერიკი

0:1 ასკაროვი (20), 1:1 ხომერიკი (52)

მაჩანჩალათა მატჩი კარგი საყურებელი გამოდგა, თუმცა, ჩემი აზრით, მსაჯებმა დემეტრაძეს ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს: გიორგი მარცხენა ფრთიდან შეძვრა საჯარიმოში, მეკარესაც გადაავლო ბურთი, მცველმა კარის ხაზს იქიდან კი გამოიტანა, მაგრამ... წუთის შემდეგ რუსტამ ასკაროვმა საჯარიმოში კალაძე მოატყუა და მარჯვენა ცხრიანში გაიტანა. მეორე ტაიმში ტრადიციულად აკობიამ ცქიტიშვილი წინ წასწია და ამანაც გაილაღა. აქტიურად ათამაშდნენ ხომერიკი და დემეტრაძე. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, რომ ხომერიკმა ივარგა — ორ მცველს ტანით ჩაუდგა, ბურთი შეიგდო და ცაციათი დაარტყა, ბურთი ძელს შეეხო და კარში შევარდა. დინამოელებს ამის მერეც ჰქონდათ გოლის გატანის უამრავი შესაძლებლობა, მაგრამ ცქიტიშვილმა, დემეტრაძემ, ხომერიკმა და ჩხაიძემ ვერ შეაგდეს, ახალგამოსულმა კიკნაძემ კი ცარიელ კარში თვრამეტიოდე მეტრიდან ვერ გაიტანა. მეტოქემ კინაღამ დაგვსაჯა და აგეევმა და 20 წლის ტანდაბალმა უმუროვმა, ჰანტურიასი შეეშინდათ თუ რა იყო, პირისპირ გასულებმა გოლი ვერ გაიტანეს. ტურნირის დებულებით პირდაპირ პენალტები დანიშნეს. დინამოელებმა გამაოგნეს, ისე ურტყამდნენ, თითქოს მეკარე კარში არცა დგასო: მაჭავარიანი 1:0, ასტამოვი 1:0 (ჰანტურიამ აუღო), ჯელაძე 2:0, უმუროვი 2:0 (ააცილა), კიკნაძე 3:0, მაკეევი 3:1, ხომერიკი 4:1 (დემეტრაძეს აღარ დასჭირდა). ასე გავიდნენ დინამოელები მეშვიდე ადგილზე თურქმენბაშის თასზე. ისე, ქულების მიხედვით მაინც ბოლო ადგილზე არიან რვა გუნდში.

**მამუკა ქვარაცხელია აშხაბადიდან**

## ჟენევაში სტამბოლის გავლით

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დღეს სტამბოლს მიფრინავს. ნოდარ ახალკაცი თურქეთში თავის კოლეგას უნდა შეხვდეს. ადრე გაუწყეთ, პრეზიდენტი თურქეთს 15 თებერვალს უნდა გაემართოს, მაგრამ ვიზიტი იმად გადაიდო, რომ გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფას მსაჯთა კომიტეტის წევრი ბელგიელი ალექსის პონე ეწვია, სტუმარს კი, მოგეხსენებათ, დახვედრა და მიღება სჭირდებოდა. ახალკაცი სტამბოლში ერთ დღეს დაჰყოფს, მერე კი თავის თურქ კოლეგასთან ერთად ჟენევაში გადაფრინდება, რათა ტექნიკური კომიტეტის მორიგ სამუშაო სხდომას დაესწროს. პრეზიდენტი თბილისში კვირას დაბრუნდება.


# ბავშვთა კვება



# Gerber

## ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

**Gerber** კომპანია გერბერის პროდუქციაში არ გამოიყენება არანაირი ქიმიური კონსერვანტი

**Gerber** 1928 წლიდან მოყოლებული კომპანია გერბერმა დაამზადა 60 მილიარდამდე საკვები პროდუქტის შესაფუთი და არ ყოფილა პროდუქტის მიკრობიოლოგიური დაბინძურების არცერთი შემთხვევა. შესაბამისად — პროდუქტის თერმოგადამუშავებასთან დაკავშირებული მოწამვლის არცერთი ფაქტი.

**Gerber** ამერიკის ზრდასრული მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავის დროზე „გერბერის ჩვილი“ იყო.

ფირმა გერბერი 1928 წლიდან უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვთა უმრავლესობისა და მილიონობით პატარის კვებას მთელ მსოფლიოში.


# საქართველოს VIII ჩემპიონატი II ჯგუფის დასავლეთის ზონა, II წრის კალენდარი

XVIII ტური
14 მარტი, პარასკევი
საპოვნელა — მეშახტე
სალხინო — მაღაროელი
ტორპედო 2 — კახაბერი
ბათუმი 2 — სულორი
სქური — იმერეთი
კოლხეთი 2 — ოდიში 2
15 მარტი, შაბათი
ოლიმპია — ეგრისი
სამეგრელო — მერცხალი
მამისონი ისვენებს

XIX ტური
19 მარტი, ოთხშაბათი
მერცხალი — საპოვნელა
იმერეთი — სამეგრელო
20 მარტი, ხუთშაბათი
სულორი — ტორპედო 2
კახაბერი — სალხინო
მაღაროელი — ეგრისი
კოლხეთი 2 — ოლიმპია
ოდიში 2 — სქური
მამისონი — ბათუმი 2
მეშახტე ისვენებს

XX ტური
24 მარტი, ორშაბათი
ბათუმი 2 — მეშახტე
ეგრისი — კახაბერი
სალხინო — სულორი
ტორპედო 2 — მამისონი
საპოვნელა — იმერეთი
სამეგრელო — ოდიში 2
სქური — კოლხეთი 2
ოლიმპია — მაღაროელი
მერცხალი ისვენებს

XXI ტური
28 მარტი, პარასკევი
მერცხალი — ბათუმი 2
მამისონი — სალხინო
სქური — ოლიმპია
კოლხეთი 2 — სამეგრელო
ოდიში 2 — საპოვნელა
მეშახტე — ტორპედო 2
სულორი — ეგრისი
კახაბერი — მაღაროელი
იმერეთი ისვენებს

XXII ტური
3 აპრილი, ხუთშაბათი
ოლიმპია — კახაბერი
ტორპედო 2 — მერცხალი
ბათუმი 2 — იმერეთი
სამეგრელო — სქური
მაღაროელი — სულორი
სალხინო — მეშახტე
4 აპრილი, პარასკევი
ეგრისი — მამისონი
საპოვნელა — კოლხეთი 2
ოდიში 2 ისვენებს

XXIII ტური
7 აპრილი, ორშაბათი
სამეგრელო — ოლიმპია
იმერეთი — ტორპედო 2
ოდიში 2 — ბათუმი 2
მერცხალი — სალხინო
სულორი — კახაბერი
8 აპრილი, სამშაბათი
მამისონი — მაღაროელი
სქური — საპოვნელა
მეშახტე — ეგრისი
კოლხეთი 2 ისვენებს

XXIV ტური
15 აპრილი, სამშაბათი
ბათუმი 2 — კოლხეთი 2
საპოვნელა — სამეგრელო
მაღაროელი — მეშახტე
ეგრისი — მერცხალი
სალხინო — იმერეთი
ტორპედო 2 — ოდიში 2
16 აპრილი, ოთხშაბათი
ოლიმპია — სულორი
კახაბერი — მამისონი
სქური ისვენებს

XXV ტური
20 აპრილი, კვირა
მერცხალი — მაღაროელი
იმერეთი — ეგრისი
მამისონი — სულორი
21 აპრილი, ორშაბათი
ოდიში 2 — სალხინო
მეშახტე — კახაბერი
საპოვნელა — ოლიმპია
სქური — ბათუმი 2
კოლხეთი 2 — ტორპედო 2
სამეგრელო ისვენებს

XXVI ტური
25 აპრილი, პარასკევი
ოლიმპია — მამისონი
კახაბერი — მერცხალი
ეგრისი — ოდიში 2
სულორი — მეშახტე
მაღაროელი — იმერეთი
სალხინო — კოლხეთი 2
ტორპედო 2 — სამეგრელო
საპოვნელა ისვენებს

XXVII ტური
29 აპრილი, სამშაბათი
სქური — სალხინო
მერცხალი — სულორი
მეშახტე — მამისონი
იმერეთი — კახაბერი
ოდიში 2 — მაღაროელი
სამეგრელო — ტორპედო 2
30 აპრილი, ოთხშაბათი
კოლხეთი 2 — ეგრისი
საპოვნელა — ბათუმი 2
ოლიმპია ისვენებს

XXVIII ტური
4 მაისი, კვირა
სალხინო — სამეგრელო
მამისონი — მერცხალი
5 მაისი, ორშაბათი
კახაბერი — ოდიში 2
მაღაროელი — კოლხეთი 2
ოლიმპია — მეშახტე
ტორპედო 2 — საპოვნელა
სულორი — იმერეთი
ეგრისი — სქური
ბათუმი 2 ისვენებს

XXIX ტური
9 მაისი, პარასკევი
საპოვნელა — სალხინო
იმერეთი — მამისონი
სამეგრელო — ეგრისი
სქური — მაღაროელი
კოლხეთი 2 — კახაბერი
ოდიში 2 — სულორი
მერცხალი — მეშახტე
ბათუმი 2 — ოლიმპია
ტორპედო 2 ისვენებს

XXX ტური
15 მაისი, ხუთშაბათი
ოლიმპია — მერცხალი
მეშახტე — იმერეთი
მამისონი — ოდიში 2
სულორი — კოლხეთი 2
კახაბერი — სქური
მაღაროელი — სამეგრელო
ეგრისი — საპოვნელა
ტორპედო 2 — ბათუმი 2
სალხინო ისვენებს

XXXI ტური
19 მაისი, ორშაბათი
ტორპედო 2 — ოლიმპია
ბათუმი 2 — სალხინო
საპოვნელა — მაღაროელი
სამეგრელო — კახაბერი
კოლხეთი 2 — მამისონი
სქური — სულორი
ოდიში 2 — მეშახტე
იმერეთი — მერცხალი
ეგრისი ისვენებს

XXXII ტური
23 მაისი, პარასკევი
ოლიმპია — იმერეთი
მამისონი — სქური
სულორი — სამეგრელო
ეგრისი — ბათუმი 2
მერცხალი — ოდიში 2
მეშახტე — კოლხეთი 2
კახაბერი — საპოვნელა
სალხინო — ტორპედო 2
მაღაროელი ისვენებს

XXXIII ტური
27 მაისი, სამშაბათი
სალხინო — ოლიმპია
ბათუმი 2 — მაღაროელი
სამეგრელო — მამისონი
საპოვნელა — სულორი
სქური — მეშახტე
ტორპედო 2 — ეგრისი
კოლხეთი 2 — მერცხალი
ოდიში 2 — იმერეთი
კახაბერი ისვენებს

XXXIV ტური
31 მაისი, შაბათი
მერცხალი — სქური
მეშახტე — სამეგრელო
ეგრისი — სალხინო
ოლიმპია — ოდიში 2
იმერეთი — კოლხეთი 2
მამისონი — საპოვნელა
მაღაროელი — ტორპედო 2
კახაბერი — ბათუმი 2
სულორი ისვენებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საკონტროლო თუ უკონტროლო?

### გორდა 1:1 კახეთი

**გორდა:** ჩავლეიშვილი (კორომინაძე), ბერიძე (ხოკერაშვილი), ბექაური, მუშკუდიანი (არსოშვილი), ბურდული (ლ. ალოდაშვილი), ძებისაშვილი (გაბელაია), დორჩიაშვილი (ლაბაძე), ჭყონია (კიტეიშვილი, მელაძე), კარანაძე (ქენქაძე, სახვაძე), ზარათაშვილი (მეთემაშვილი), შეყილაძე (კირკიტაძე)

**კახეთი:** პაქსაშვილი (ასლანაძე), ფოფხაძე (თამაზაშვილი), გოძიაშვილი (ლვინიაშვილი), ჯიკაევი, ჯიქიძე, ქორთუა, ტოკლიკაშვილი, ჯაშიაშვილი, შონია, მაზანაშვილი, მესხიძე (ბოჭორიშვილი)

0:1 მესხიძე, 1:1 მუშკუდიანი

**მსაჯი:** ა. ლომიძე (რუსთავი)

წინა „სარბიელში“ კი გაცნობეთ, რომ 17-ში ამხანაგური მატჩი იყო დაგეგმილი „გორდასა“ და „კახეთს“ შორის, მაგრამ ის ნამდვილად არ გვითქვამს, თამაში მასხარაობას დაემსგავსებაო. რიგითი ამხანაგურ-საკონტროლო მატჩის მოლოდინში ვიყავით და ნაღდი პაექრობის ხილვის იმედით გავეშურეთ გარდაბანში, იქ ნანახმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საკონტროლო მატჩებს, ალბათ ყველა დასწრებიხართ, მაგრამ გარწმუნებთ, ისეთ „სანახაობა“, როგორსაც გარდაბანში შევესწარით, პარადოქსული უფრო ეთქმოდა და არა გვგონია, ამგვარი გეხილოთ. ელემენტარული, მატჩის ორგანიზაცია ავილოთ. მართალია, ყველაფერი შეთანხმებით იწყება, მაგრამ შეთანხმებაც არის და შეთანხმებაც. მოდით, 17 თებერვალს ერთმანეთს ვეთამაშოთ, გარდაბანში, პირველ საათზეო — ალბათ ასე მორიგდნენ გუნდები. სხვა კი, ეტყობა, ყველაფერი დაივიწყეს: თურმე, მოედანს დახაზვა არ სჭირდება, კარზე ბადეების შებმა თამაშისას უნდა ხდებოდეს, გვერდითი მსაჯები საჭირო არ ყოფილა, ერთადერთი მსაჯისთვის სულაც არაა აუცილებელი ფორმის ჩაცმა, მოედნის გარშემო კი ადგილობრივი ბავშვები ველოსიპედებით უნდა სეირნობდნენ... ალბათ, გაგიკვირდებოდათ, შეცვლებისა და გოლების გატანის დრო რომ არ აღვინიშნავს. ეს იმიტომ, რომ დროის ზუსტად ჩამნიშნავი არავინ იყო, ტაბლოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. უმჯობესია ის ვიკითხოთ, მსაჯს თუ ჰქონდა წამზომი. თუმცა, ალბათ ექნებოდა, რადგან მატჩმა მიახლოებით იმდენ ხანს გასტანა, როგორც მიჩვეულნი ვართ. არც ერთნაირი ფორმა ყოფილა სავალდებულო თანაგუნდელებისთვის, დიდი ამბავი, თუ ჭრელი მაისურები ემოსათ და შეცვლაზე შესული გამოცვლილის ფორმას ირგებდა...

ახლა, ცოტა თამაშზეც ვთქვათ. რაც უნდა იყოს, მატჩი შედგა და, ჩვენდა გასაკვირად, საფეხბურთო ანგარიშითაც დამთავრდა. ბრძოლის მოლოდინში კი ვიყავით, მაგრამ ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ თამაშისას ორივე გუნდის ხელმძღვანელები უამრავ ფეხბურთელს გამოცდიდნენ. „გორდამ“, ფაქტობრივად, ორი შემადგენლობით ითამაშა და გიგლა იმნაძემ 23 კაცი დაათვალიერა. ჯონი ჯანელიძე კი ცოტა მოკრძალებული იყო და მხოლოდ 15 მოთამაშეს მისცა თავის გამორჩენის საშუალება. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ კახელებს მეტი ფეხბურთელი არც ჩამოუყვანიათ გარდაბანში: ჭვრიტიძე და ბაბულაიძე ტრავმირებულნი არიან, ნაკუდაიძე კი არავინ იცის, სად არის. ისე, თელაველებისგან ნამდვილად მოულოდნელი იყო ასეთი თამაში, აშკარაა, ჯონი ჯანელიძემ თავისებური კორექტივები შეიტანა გუნდის ტაქტიკურ ნახაზში და არ გაგიკვირდეთ, თუ მეორე წრეში სულ სხვა „კახეთი“ იხილოთ. პრაქტიკულად, გუნდი უკვე დაბალანსებულია, გამოკვეთილი ლიდერიც ჰყავს — გია მაზანაშვილი, თუმცა დიდი ხნის უვარჯიშებლობა მასაც დასტყობია. იგი ერთობ გონივრულად ანაწილებდა გადაცემებს ფლანგიდან ფლანგზე და მწვავედ უტევდა რუსთაველებს. თელაველებისგან მესხიძის გამოყოფაც შეიძლება. მართალია, მან მხოლოდ ტაიმი ითამაშა, მაგრამ მისი ტექნიკური არსენალი იმდენად დიდია, რომ ახლო მომავალში შეიძლება კარგ ფორვარდად ჩამოყალიბდეს. ყოველ შემთხვევაში, გუშინ ასე ჩანდა. რა იქნება მომავალში, მხოლოდ თვითონ უწყის. „კახეთის“ ფეხბურთელების მისამართით კიდევ შეიძლებოდა რამდენიმე კომპლიმენტის თქმა, მაგრამ რუსთაველებისთვის აღარ დაგვრჩება ადგილი. თუმცა, მათგან ძნელია ვინმეს გამორჩევა, ეს ალბათ მხოლოდ გიგლა იმნაძის საქმეა, რომელმაც „კახეთთან“ მატჩი იმისთვისაც გამოიყენა, რომ ზოგიერთი ფეხბურთელის რეალურ შესაძლებლობებში თვალნათლივ დარწმუნებულიყო და გუნდიდან დაეთხოვა. მატჩის შემდეგ იყო კიდეც მსგავსი უსიამოვნო საუბრები ფეხბურთელებთან, თუმცა ვინ მოხვდა „შავ სიაში“, ჯერჯერობით უცნობია. ერთს კი ახლავე ვიტყვით, უფრო სწორად ადრე თქმულს გავიმეორებთ — რუსთავის „გორდა“ მეტად სუსტად გამოიყურება და ჯგუფიდან გავარდნის რეალური კანდიდატია, თუმცა გუნდში ახალი ხელმძღვანელების მოსვლით, იმედია, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

**ირაკლი მიქელაშვილი**

## განთავისუფლდება კი გუჯაბიძე?

რუსულმა „როსტსელმაშმა“ და მისმა მთავარმა მწვრთნელმა რომ ძლიერ აურდაურიეს, ჩვენებური დევაძისა და გუჯაბიძის საქმეები, ადრეც არაერთხელ გამცნეთ. ისიც გაუწყეთ, რომ კაკომ თავი დააღწია როსტოველთა ტყვეობას და ალთქმულ მიწაზე სასურველი კლუბიც იპოვა, რომელმაც „როსტსელმაშს“ დევაძის საფასურად 150 000 დოლარი გადაუხადა. რაც შეეხება გოჩა გუჯაბიძეს, მოგეხსენებათ, იგი უკრაინული „დნეპრის“ მთავარ მწვრთნელ ვიაჩესლავ გროზნის მოუვიდა თვალში და ისრაელშიც იახლა შეკრებაზე. გოჩას თამაში კლუბის ხელმძღვანელებსაც მოსწონთ და კმაყოფილებიც არიან, მაგრამ ჯერჯერობით ის სატრანსფერო 40 000 დოლარი ეძვირებათ, გუჯაბიძეში რომ უნდა გადაუხადონ „როსტსელმაშს“. ამჟამად „დნეპრი“ ესპანეთში იმყოფება, გოჩა კი თბილისშია და ესპანეთში გამგზავრებისთვის საჭირო საბუთებს აგროვებს, რათა „დნეპრს“ შეუერთდეს. ასეთივე მდგომარეობაში არიან ძმები კილასონიები, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მათ უკვე მოაწერეს ხელი წელიწადნახევრიან კონტრაქტებს და უკრაინულ კლუბში ჩაირიცხნენ. ამ დღეებში სამივე გაეშურება ესპანეთს და გუჯაბიძის ბედიც იმ შეკრების შემდეგ გადაწყდება. თუ „დნეპრი“ გადაიხდის 40 ათასს, გოჩა განთავისუფლდება, თუ არა, სხვა ვარიანტის ძებნა მოუწევს.

## უფროსმა ქინქლაძემ ახალგაზრდებს ბაზა დაუთმო

მართალია, 18 წლამდელთა ნაკრები მეზობელი, სომეხი თანატოლების გამოისობით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მხოლოდ მეორე ადგილზე დაგვირჩა, რაც ფინალურ ეტაპზე გასასვლელად საკმარისი არ იყო, მაგრამ გუნდის მწვრთნელებს ვახტანგ კოპალეიშვილს და თენგიზ კაციას მუშაობა არ შეუწყვეტიათ. ისინი ნაკრების ახალი კანდიდატების ძიებაში არიან. ორივე მწვრთნელი გუშინ დიღმის ბაზაზე ვნახეთ, სადაც „დინამო 2“-ის მორიგ ვარჯიშს ესწრებოდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ 22-დან 28 თებერვლამდე დაგეგმილია ნაკრების მორიგი შეკრება „ლოკომოტივის“ ბაზაზე. ბაზა ჭაბუკებს უსიტყვოდ დაუთმო ამ კლუბის პრეზიდენტმა რობიზონ ქინქლაძემ. უკვე გააფრთხილეს იმ კლუბის ხელმძღვანელები, საიდანაც ნაკრების კანდიდატებს იწვევენ. როგორც მთავარმა მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმა გვითხრა, შეკრება 22 თებერვალს 12 საათზე დაიწყება ფეხბურთის ფედერაციაში, იქიდან კი „ლოკომოტივის“ ბაზას მიაშურებენ. მანვე დაამატა, რომ ამ შეკრებაზე არ მიიწვევენ უცხოეთში მოთამაშე ნაკრების წევრებს და რამდენიმე აქაურსაც... — მათი შესაძლებლობები უკვე ვიცით, ამ ჯერზე ახლებს გავსინჯავთო. მზადებისას დაგეგმილია სამი ამხანაგური შეხვედრა.

# გელა ქორიძე: კინაღამ ქუჩას გადავყევი



ცნობილ მოთამაშეთა შვილებს უცებ შენიშნავენ ხოლმე. გულშემატკივარიც მუდამ მამა-შვილს შორის მსგავსება-განსხვავების ძიებაშია. ვახტანგ ქორიძის ვაჟი, გელაც, მამამისივით ნახევარდაცვაში თამაშობს და... მათი მსგავსება ამით ამოიწურება. უფროსი ქორიძე ფიზიკურად უფრო ძლიერი იყო, შვილი კი უფრო ტექნიკით გამოირჩევა. თანაც გელას ჯერ ისე ვერ გაუმართლა, როგორც მამამისს. არადა, ვეჭვობ, ნიჭით ნაკლები იყოს. თუმცა გელა ამას ისევ თავის თავს აბრალებს.

პირველი წრის უდაო აღმოჩენა თბილისის „მერანი“ გახლდათ. ამ გუნდში კი გელა ქორიძე ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშე იყო. სწორედ მაშინ გაიხსენეს ყოვლისმცოდნე ქომაგებმა, რომ „ეს ის ტუხას ბიჭი“ იყო, „მრეტების“ შემდეგ რატომღაც რომ დაიკარგა. მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრე გელასთვის ალბათ საუკეთესო გამოდგა. და მაშინ, როცა გუნდი შეთამაშდა და მეორე შრისთვის, სეზონის დასაწყისისგან განსხვავებით, უკვე სერიოზულ ძალად მიიჩნევდნენ, წამყვანმა მოთამაშეებმა უცხოეთში წასვლის სურვილი გამოთქვეს. მათ შორის ქორიძემაც. იგი გერმანიის რეგიონალური ლიგის გუნდში მიდიოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს საქმე არ გამოვიდა და გელა მეორე წრეში კვლავ „მერანში“ ითამაშებს.

— გერმანული მხრიდან დაბრკოლებები იყო, „მრეტების“ პრეზიდენტმა ვაჟა ჩხაიძემ დროზე ვერ მოაგვარა საქმეები, ამასობაში კი სატრანსფერო სეზონიც დამთავრდა.

**— რომც წასულიყავი, ეს იმ პერიოდს დაემთხვეოდა, როცა, ფაქტობრივად, უვარჯიშებელი იყავი, ასე წასვლას კი აზრი ჰქონდა?**

— რაც უნდა კარგად მოემზადო საქართველოში, ისეთ ფიზიკურ კონდიციებს მაინც ვერ მიაღწევ, თუნდაც რეგიონალლიგის დონე დააკმაყოფილო. მთავარია, შენში ნიჭი დაინახონ, დანარჩენი თვითონ იციან — ისე მოგამზადებენ, ამ მხრივ ყველა პრობლემა მოგეხსნება.

**— ასე რატომ მიისწრაფი რეგიონალლიგისკენ? იქნებ ფეხბურთზე აღარც ფიქრობ, უფრო პრაქტიკული მოსაზრებები გამოძრავებს?**

— სწორედაც რომ ფეხბურთზე ვფიქრობ? რეგიონალ ლიგაში უფრო უკეთ მოვემზადები, ვიდრე საქართველოში. გერმანია წინსვლისთვის მჭირდება, იქნებ უკეთეს გუნდში მიმიწვიონ. ეს არის ჩემი მიზანი, თორემ რომელი თავმოყვარე ფეხბურთელი წავა მესამე ლიგაში, თუ, რა თქმა უნდა, საქართველოში არ ცხოვრობს. უახლოეს მომავალში კი აქ პერსპექტივას ვერ ვხედავ.

**— სწორედ შენსავით ფიქრობდნენ გერმანიაში წასული სხვა ჩვენებურები, თუმცა მათი უმრავლესობა ისევ იქ დარჩა და მეტს ვეღარას მიაღწია...**

— ეტყობა, შეეგუვნენ იმ პირობებს და მეტი არც უნდათ. მთავარია, საკუთარი თავისა გწამდეს, თუ ასე არ არის, ფეხბურთისთვის მალე მოკვდები. ისეთი ადამიანიც უნდა გყავდეს გვერდში, ვინც დაგეხმარება. ფეხბურთში უამისოდ ძლიერ გაგიჭირდება.

**— შენთვის ასეთი ადამიანი ვინ იყო?**

— ვაჟა ჩხაიძე, ვინაც ჯერ კიდევ სკოლიდან შემნიშნა და დიდ ფეხბურთში გზა გამიკვლია. მეტი არავინ მყოლია, ვინც გაჭირვებისას დამეხმარებოდა.

**— ცნობილ ფეხბურთელთა შვილებს, დამეთანხმები, სხვებზე მეტი გასაქანი აქვთ. შენ ამას ვერ გრძნობდი? თანაც, ერთი ხანობა ხომ „დინამოშიც“ ვარჯიშობდი?**

— ეს კუტივაძის დროს იყო, მანამდე ფეხბურთს სერიოზულად არ ვეკიდებოდი. იმას ვარჯიში არც ეთქმოდა. ფეხბურთს ინერციითღა ვთამაშობდი და ამიტომაც იმ პერიოდს დაკარგულად ვთვლი. „დინამოში“ მისვლისას ვერ დავინახე, რომ ჩემით დაინტერესებულნი იყვნენ. ვგრძნობდი, კეთილმოსურნე თვალით არ მიყურებდნენ, ვარჩიე, უფრო რეალურ ვარიანტს დავთანხმებულიყავი და მოლდოვაში წავედი. მაგრამ არც იქ გამიმართლა — კუნთი გავიწყვიტე და ისევ ამერია საქმეები.

**— დრო საკმაოდ გაგიცდა. ასეთ ვითარებაში მოთამაშე ბევრ ისეთ თვისებას კარგავს, რისი დაბრუნებაც მეტად ძნელია. რას ფიქრობ, „მერანში“ ეს შესძელი?**

— შეუძლებელი არ არის. ამაში უპირველესად მეგობრები უნდა დამეხმარნონ, რათა ძველი შეცდომები აღარ გაიმეორო. ჩვენ შეხვედრამდე მეზობელი ვნახე, ვუთხარი, ვარჯიშობ, მინდა დიდი ფეხბურთი ვითამაშო-მეთქი. ძალიან გაუხარდა, მაგას რა სჯობსო. მოკლედ, მეგობრებისა და ახლობლების თანადგომა არ მაკლია. მათი შეგონებით დავიწყე ისევ ვარჯიში. ეს კი ჩემთვის ბევრს ნიშნავს. რა გამოვა აქედან, ღმერთმა უწყის. ერთი კია, ვგრძნობ ფორმაში შევდივარ.

**— ძველი შეცდომები რომ არ გავიმეორო, მეგობრები მეხმარებიანო. რა შეცდომებს გულისხმობდი?**

— ის წლები, რომლებიც ფეხბურთისთვის უნდა დამეთმო, ვერ გამოვიყენე. დრო უქმად დავკარგე, კინაღამ ქუჩას გადავყევი, აქედან კი ხეირი ჯერ არავის უნახავს. ბოლოს ისევ ძმაკაცებმა მითხრეს, კარგ გზას არ ადგახარო. სწორედ მათ გამომაფხიზლეს. გიორგი ანჩაბაძე იყო მათ შორის ერთ-ერთი პირველი.

**— „მერანი“ არ არის ისეთი გუნდი, რომელიც წინსვლისთვის შეგიძლია გამოიყენო?**

— სხვათა შორის, ჩვენთან ძირითადად ისეთი ბიჭები თამაშობენ, რომელთა დიდი ნაწილიც უცხოეთში წასვლას ფიქრობს, თანაც თემურ მახარაძე კარგად გვამზადებს, ისე, რომ უცხოეთში წასულს არ გაგიჭირდება გუნდში დამკვიდრება. მაგრამ საქართველოში ისეთი პირობები არ არის, სასურველ დონეს რომ მიაღწიო. ამიტომ აქ გული არ მიჩერდება.

**— „მერანში“ არც იმ შემთხვევაში დარჩები, ევროტურნირზე რომ მოხვდეთ?**

— ეს უკვე გუნდის ხელმძღვანელებთან შეთანხმებაზეა დამოკიდებული. თანაც ასეთ შემთხვევაში მაქსიმუმ ორი შეხვედრა ჩავატაროთ. მეტის იმედი, ალბათ, არ უნდა გვქონდეს. ამ ორი შეხვედრისთვის კი ღირს დარჩენა?

**— „კოლხეთმაც“ დიდად ვერ გამოიჩინა თავი, მაგრამ გახოკიძე მაინც შენიშნა საფრანგეთის „გინგამის“ მწვრთნელმა, ამის შემდეგ კი სხვებიც დაინტერესდნენ. ეს შენთვის კარგი მაგალითი არ არის?**

— ამაზე მეც მიფიქრია, მაგრამ „მერანში“ „მრეტებისაგან“ ერთი წლით ვარ გამოშვებული. სეზონი რომ მიილევა, „მრეტების“ ხელმძღვანელობასთან ერთად გადავწყვიტეთ, რას ვიზამთ. ეს მარტო ჩემზეც არ არის დამოკიდებული. თავისთავად კი ნებისმიერი მოთამაშისთვის ევროთასებზე თამაში პრესტიჟის საქმეა.

**— გინდა თუ არა, გვერდს ვერ ავუქცევთ „გურიასთან“ მომხდარ ფაქტს. შენზე ამბობენ, მსაჯს შოთა ხაბიაშვილს დაარტყაო...**

— ამაზე მოკლედ გიპასუხებ — ვინც ამას ამბობს, მოვიდეს და პირში მითხრას, რომ დავარტყი.

**— ზოგს მთელი კარიერის მანძილზე ერთი ყვითელიც არ დაუმსახურებია, შენ კი უკვე მეორედ მოგცეს დისკვალიფიკაცია. მშვიდი ნამდვილად არ გეთქმის...**

— ეს ასაკის ბრალიც არის და იმისაც, რასაც ჩვენს ფეხბურთში ვხედავ. ამას ვერ ვეგუები. და თუ რა ხდება, ეს ყველამ კარგად იცის. სანამ თამაშების ჩაწყობა არ აღიკვეთება, ყველა თავმოყვარე კაცი ჩემსავით მოიქცევა, შორიდან ბევრი რამ არც ჩანს, შიგნით, კულისებში კი გაშიფრულია და ეს ყველაფერი საზიზღრობაა. ამის გამოც არის მოთამაშეები უცხოეთში რომ გავრბივართ, თორემ გაჭირვებას როგორმე ავიტანდით. თანაც ჩვენი ჩემპიონატის დონე არავის გვაკმაყოფილებს. რეგიონალური ლიგის საშუალო გუნდებს „დინამოზე“ უკეთესი პირობები რომ ექნებათ, გინდა მოსამზადებელი, გინდაც ფინანსური, გული აქ როგორ გამიჩერდება? თანაც, კარგად გამიგეთ, ჩვენთვის მატერიალური უზრუნველყოფა ბევრს ნიშნავს. მოთამაშეს ფეხბურთის გარდა სხვა საფიქრალი არ უნდა ჰქონდეს, ჩვენთან კი ფეხბურთის გარდა ყველაფერზე ვფიქრობთ. ასე რომელ წინსვლაზეა ლაპარაკი. მსაჯებსაც ვერ გაამტყუნებ. რომ უჭირთ, ეტყობა, ამის გამო პრობლემებ გვიქმნიან. ნორმალურად თუ გადაუხდიან, ნაკლებად იცუღლუტებენ. რაიონებში კი ისეთი ამბები ხდება, ყველამ კარგად იცის, მაგრამ თვალს ხუჭავენ. თან მსაჯებს არავინ იცავს. ადრე საშინელება იყო. წელს მდგომარეობა გაცილებით უმჯობესია და ეს კარგად მენიშნა. იქნებ, მართლა რაიმე გვეშველოს. თორემ დღევანდელი მდგომარეობით ბევრს ვერ მივაღწევთ.

არადა, რა დიდი დაკვირვება უნდა იმას, რომ დიდი პოტენცია გვაქვს, ბევრი შეგვიძლია, ოღონდ ნორმალური პირობები შეგვიქმნან. ელემენტარულად უცხოეთში შეკრებაზე რომ წახვალ, გუნდი ერთ ოჯახად შეიკვრება, უკეთ გავუგებთ ერთმანეთს. ამის გარეშე არ არის ის ერთიანობა, რაც ნებისმიერ საქმეში აუცილებელია. დახარჯულ ენერგიასაც შესაბამისი კვებით სჭირდება აღდგენა. ეს ყოველივე აქვე რომ მქონოდა, დარწმუნებული ვარ, დღეს „მერანზე“ გაცილებით უკეთეს გუნდში ვიქნებოდი. თუმცა, იმედს მაინც არ ვკარგავ...

**მერაბ გამულაშვილი**

# დელ პიეროს გოლები და ვეას ხრიკები

## იტალია

XX ტური

### მილანი 2:0 ბოლონია

65 000 მაყურებელი

მილანი: როსი, კოსტაკურტა, ვერხოვენი, ბარეზი, მალდინი, სავიჩევიჩი, ალბერტინი (დავიდსი 78), დესაი, ბობანი (ბლომკვისტი 57), ვეა, სიმონე (დუგარი 69)

ბოლონია: ანტონიოლი, ტაროცი, ტორიზი, მანგონე, პარამატი, მაგონი (შალიმოვი 72), მაროკი, ნკაპოლო (ბრამბილა 50), ნერვო (სკენარდი 50), ანდერსონი, კოლივანოვი

გოლი: ალბერტინი (1 ტაიმის 48-ე წ. პ), ბლომკვისტი (85)

გაფრთხილება: სავიჩევიჩი, ბობანი, კოსტაკურტა, ნერვო, ანტონიოლი, ტაროცი

გაძევება: ბლომკვისტი (88)

### უდინეზე 1:0 კალიარი

12 000 მაყურებელი

უდინეზე: ტურჩი, ჰელვეგი, კალორი, ბია, ბერტოტო, ნიკოლი (ძენო 84), როსიტო, დეზიდერი, ლოკატელი (სტროპა 76), ამოროზო, პოჯი (ბირჰოფი 50)

კალიარი: სტერჩელე, ბრესანი (კარლეტი 78), ტაკოლა, პანკარო, ვილა, ბეტარინი, ბერეტა (თინქლერი 78), სანა, კოცა (ლონსტრუპი 46), მუცი, ტოვალიერი

გოლი: ბირჰოფი (75)

გაფრთხილება: ბერტოტო, კალორი, ლოკატელი, ბეტარინი, კარლეტი

### პიაჩენცა 1:0 ნაპოლი

13 000 მაყურებელი

პიაჩენცა: ტაიბი, მ. კონტე, დელი კარი, ლუჩი, პოლონია, დიფრანჩესკო, პარი, შიენცა, პიოვანი (ძერბინი 93), ლუიზო (ვალოტი 86), ტენტონი (ვალტოლინა 72)

ნაპოლი: ტალიალატელა, ბალდინი, კოლონეზე, აიალა, კრასონი, ტურინი (ბეტო 62), პეკია, ბოლოსიანი (ბორდინი 82), კრუზი, ალიენტი (კაიო 77), კაჩა

გოლი: შიენცა (35)

გაფრთხილება: კოლონეზე, კრუზი, კაჩა, პარი, პიოვანი, დიფრანჩესკო

### რეჯანა 0:0 პარმა

14 331 მაყურებელი

რეჯანა: ბალოტა, მაცი, გალი, ბაიერსდორფერი, გროსი, საბეუ, მაცოლა, დე ნაპოლი (პაშეკუ 49), ლონგი (პარენტე 61), სიმუტენკოვი, ვალენსია (მინეტი 86)

პარმა: ბუფონი, მუსი, ტურამი, კანავარო, ბენარივო, სტანიჩი, სენსინი, დ. ბაჯო, კრიპა (სტრადა 61), კიეზა, მელი (კრესპო 72)

გაფრთხილება: სტანიჩი, ბენარივო, მუსი, კიეზა

გაძევება: მაცოლა (88)

### იუვენტუსი 2:1 პერუჯა

30 000 მაყურებელი

იუვენტუსი: პერუცი, პესოტო, ფერარა, პორინი (ჯულიანო 18), ტორიჩელი, დი ლივიო, ზიდანი (ლომბარდო 74), დეშამპი, იუგოვიჩი, ვიერი (პადოვანო 69), დელპიერო

პერუჯა: ბუჩი, გატუზო (რაპაიჩი 53), დიჩარა, კასტელინი, მატერაცი, დიკოარა (კოტინი 59), რუდი, ჯუნტი, კრევკო (გორეტი 65), ნეგრი, გაუტიერი

გოლი: დელ პიერო (37 პ, 1 ტაიმის 47-ე), მატერაცი (92)

გაფრთხილება: ტორიჩელი, ჯუნტი

### ვერონა 2:1 ფიორენტინა

25 000 მაყურებელი

ვერონა: გუარდალბენი, ბრაიკოვიჩი, ბარონი, სივილია, ვანოლი, ორლანდინი, ბაჩი, ფიკადენტი, ჯუნტა, მანიერო, ძანინი (მანეტი 77)

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, ფალკონე, ამორუზო, სერენა (პუშედუ 86), კანჩელსკისი, კოისი, რუიკოშტა, შვარცი, ბატისტუტა, ოლივეირა (ბაიანო 67)

გოლი: ფალკონე (1 საკ. კარში), ბატისტუტა (7), მანეტი (93)

გაფრთხილება: ფიკადენტი, კარნაშალი, ამორუზო, პუშედუ

### ლაციო 2:2 ინტერი

55 000 მაყურებელი

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, გრანდონი, შამოტი, ფუზერი, ვენტურინი (მარკოლინი 40), ოკონი (ბარონიო 66), ნედვედი, კაზირაგი (პროტი 45), სინიორი

ინტერი: პალიუკა, ბერგომი (ანგლომა 80), მ. პაგანინი, გალანტე, პისტონე, ძანეტი, ფრეზი, სფორცა, ბერტი (განცი 46), სამორანო, ჯორკაეფი

გოლი: ფუზერი (24), სამორანო (59), ჯორკაეფი (61), სინიორი (72)

გაფრთხილება: ნესტა, ფუზერი, ნედვედი, სფორცა, ბერტი, გალანტე

### სამპდორია 1:2 რომა

35 000 მაყურებელი

სამპდორია: სერენი, ბალერი, დინგი, მიხაილოვიჩი, ლეილი, კარემბუ, ვერონი, ფრანჩესკეტი, კარპარელი, მონტელა, იაკოპინო (სალსანო 57)

რომა: ჩერვონე, თეთრაძე, ალდაირი, პივოტო, კანდელა, მორიერო (დელვეკიო 89), დი ბიაჯო, ტერნი, კარბონი, ბალბო, ტოტი (სტატუტო 76)

გოლი: მორიერო (45), ბალბო (58), მონტელა (74)

გაფრთხილება: ლეილი, თეთრაძე, ჩერვონე, ტოტი

### ატალანტა 3:1 ვიჩენცა

24 000 მაყურებელი

ატალანტა: პინატო, კარერა, ბონაჩინა, სოტილი, მირკოვიჩი, ფოლიო (ს. როსინი 62), სგრო (მ. მორფეო 89), გალო, დ. მორფეო (კარბონე 80), ლენტინი, ინძაგი

ვიჩენცა: მონდინი, მენდესი, ბელოტი, ლოპესი, დ იგნაციო (მ. როსი 62), ბეგეტო, ვივიანი, მაინი, ამერინი (ამბროზეტი 62), ოტერო, მურჯიტა (ჯენტილინი 65)

გოლი: ფოლიო (60), ინძაგი (68, 89), ოტერო (88 პ)

გაფრთხილება: ბონაჩინა, მენდესი, ლოპესი

გაძევება: ბელოტი (62)

ალესანდრო დელ პიერომ, პირველი ტაიმის ბოლო წამებზე, ბურთი საჯარიმოში მიიღო, აკენწლა, დაიგდო და შემობრუნებით პერუჯელი მეკარის ლუკა ბუჩის კარის ცხრიანი კინაღამ გაწყვიტა — 2:0. პირველი გოლიც დელ პიერომ შეაგდო, პენალტით. თერთმეტმეტრიანი დარტყმა ბუჩის მიერ კრისტიან ვიერის წაქცევისთვის დაინიშნა. დელ პიერომ ყუმბარისებურად დაარტყა და ამან უშველა, თორემ მეტოქის გოლკიპერი სწორად გადახტა და კინაღამ აიღო. „იუვენტუსი" ტრავმირებული ფორვარდების ალენ ბოკშიჩისა და მიკელე პადოვანოს გარეშე თამაშობდა, მაგრამ „პერუჯასთვის" დელ პიეროს ოსტატობაც საკმარისი გამოდგა. ეტყობა ალესანდროს გულზე აწვა, შუა კვირაში „უემბლიზე" მხოლოდ ტურისტობა რომ აკმარეს.

„სამპდორია" აბელ ბალბოსა და ომარ თეთრაძის „რომასთან" წაფორხილდა — შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია შეუწყდა და ტურინულ „ზებრას" ხუთი ქულით ჩამორჩა. გენუელების მარცხი შესუსტებულმა შემადგენლობამაც გამოიწვია. ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გამო მათ ჩვეული შემადგენლობის ოთხი მოთამაშე აკლდათ — მეკარე ფაბრიციო ფერონისა და ბომბარდირ რობერტო მანჩინის ჩათვლით. ანგარიში, კონტრშეტევისას, ფრანჩესკო მორიერომ გახსნა შვედი იონას ტერნის პასით. მეორე ტაიმში გამოუცდელმა მეკარემ 22 წლის მატეო სერენიმ, კუთხურიდან ჩაწოდებული ვერ გააუვნებლა და გოლების გატანაში ჭიპმოჭრილ ბალბოს სეზონის მეთოთხმეტე ბურთი შეაგდებინა. გენუელებმა, მოგვიანებით, შეამცირეს სხვაობა. რომაელთა დაცვა აირ-დაირია, თეთრაძემ ორჯერ სცადა ბურთის უწყინარი ადგილისკენ გადაგდება, მაგრამ ორივეჯერ უშედეგოდ და საბოლოოდ ვინჩენცო მონტელამ ეპიზოდი გოლით დაასრულა. მეტი „სამპდორიამ" ველარ მოახერხა, „რომამ" კი სეზონის დასაწყისში ნაწენევი 1:4-ისთვის იძია შური.

„ატალანტას" ათი თამაში არ წაუგია, მაგრამ ბერგამოელთა საგანგებო ჟინის მიზეზი მორიგი წარმატების ჩვეულებრივი სურვილი სულაც არ ყოფილა. ისინი გასულ კვირაში ავტოკატასტროფაში დაღუპული 22 წლის თანაგუნდელის, ფედერიკო პიზანის ხსოვნას უძღვნიდნენ შეხვედრას. მათ მაისურებს შავი სამკლაური ამძიმებდა. მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო, რომელიც ძალიან ჰგავდა ლოცვას, შემდეგ კი ცხარე თამაში გაჩაღდა. ანგარიში ნახევარმცველმა პაოლო ფოლიომ გახსნა, რასაც იტალიელ ბომბარდირთა ლიდერმა ფილიპო ინძაგიმ ორი დაამატა. ერთადერთი საპასუხო, თამაშის მიწურულს, ოტერომ გაიტანა, თუმცა ამ გოლს, ცხადია, არც სამი ქულის ბედი გადაუწყვეტია და არც ის ფაქტი შეუცვლია, რომ „ვიჩენცას" ბერგამოში 1977 წლის შემდეგ არ მოუგია.

ახლა, ორიოდ წლის წინ მსოფლიოს მძლეველი „მილანის" ამბავი ვთქვათ. მისი შეხვედრა „ბოლონიასთან" შინ, „სან სიროზე" გაიმართა. სასწაული არ მომხდარა: ბოლონიელებმა, რომელთაც ამ სტადიონზე შავ-წითლებისთვის 1964 წლის მერე არ უჯობნიათ, ამჯერადაც წააგეს. მასპინძლებმა ორი უპასუხო გოლი შეაგდეს და ორივეში ლიბერიელმა ვარსკვლავმა ჟორჟ ვეამ მიიღო მონაწილეობა. პირველი პენალტი გახლდათ. ვეა მეკარესთან პირისპირ შეიჭრა, მსუბუქი ილეთით ჩამოიტოვა, მაგრამ ზღართანი გაადენინეს. თერთმეტმეტრიანი დარტყმა დემეტრიო ალბერტინიმ, გამოქცევის გარეშე, ზუსტად შეასრულა. მეორე გოლი, შესვენების შემდეგ, საპირისპირო კარში გავიდა. ამ ეპიზოდში ვეა შეუდარებელი იყო. მარცხენა ფრთაზე, აუტის ხაზთან, ორი მცველის მჭიდრო კომპანია მან ვირტუოზული ფინტებით ჩამოიცილა, შემხვედრ მესამე მოწინააღმდეგესაც ელეგანტურად აუქცია გვერდი, მეოთხესთან კი აღარ გამართა ბრძოლა, მოხდენილი პასი მიაწოდა იესპერ ბლომკვისტს, რომელმაც „მილანში" თავისი პირველი გოლი გაიტანა. დიდი იყო ბლომკვისტის სიხარული, მაგრამ დიდი გამოდგა წყენაც, როდესაც გოლის გატანიდან ოთხი წუთის შემდეგ შალიმოვის უხეშად წაქცევისთვის წითელი ბარათი აუფრიალეს.

„ლაციოს" „ინტერი" ეწვია. რომაელთა სკამზე კვლავგამწვრთნელებული დინო ძოფი იჯდა, ზემოთ, ტრიბუნაზე კი თანამდებობიდან მოხსნილი ზდენეკ ზემანი. ვერ გეტყვით, რას ფიქრობდა ზემანი, მაგრამ „ლაციომ" კინაღამ წააგო. რომ არა ჯუზეპე სინიორის სეზონის მეათე, ხოლო „ლაციოში" მეასე გოლი (ნუთუ ამ ბრწყინვალე ფეხბურთელს ნაკრებში დაბრუნება აღარ უნდა ელირსოს?), ასეც იქნებოდა.

რომაელები დიეგო ფუზერის სეზონში პირველმა გოლმა დააწინაურა, მაგრამ მეორე ტაიმში ჩილიელმა ივან სამორანომ გაათანაბრა. შემდეგ, ფრანგმა ვარსკვლავმა იური ჯორკაეფმა მილანელი შავ-ლურჯები დააწინაურა, თუმცა ცოტა ხნით. ამ შეხვედრაში კიდევ ის მოხდა აღსანიშნავი, რომ „სკუადრა აძურას" ფორვარდი პიერლუიჯი კაზირაგი პირველი ნახევრის მიწურულს დაშავდა და მოედანი საკაცით დატოვა.

ფლორენციელ არგენტინელს გაბრიელ ბატისტუტას ვერონაში არ გაუმართლა. ყველა ღონე იხმარა გაბრიელმა, გოლიც შეაგდო, სხვა მრავალი მომენტიც შექმნა, მაგრამ ვერაფერი. ალესანდრო მანეტის სადებიუტო გოლმა სერია A-ში ვერონელთა გამარჯვება ბრძანა. მასპინძელთა პირველი გოლი კი ფილიპო მანიერომ გაახერხა და სეზონური პირადი მონაგარი ექვსამდე გაზარდა. ბატისტუტა ბატისტუტად, მაგრამ მას „ფიორენტინაში" წარმატებაც მრავლად უნახავს, აი, ანდრეი კანჩელსკისისთვის კი ამ გუნდში და საერთოდ იტალიაში პირველი თამაში უღიმღამოდ მოდგა. ემანდ ცუდის ნიშანი არ იყოს.

ევრო 96-ის გმირთა-გმირი, გერმანელი ოლივერ ბირჰოფი, დეკემბრის კოჭის ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელდა და მოედანსაც დაუბრუნდა. გმირი რისი გმირია, დაბრუნება საგანგებოდ არ აღნიშნოს. ოლივერის მიერ მეორე ტაიმში გატანილმა გოლმა მის „უდინეზეს" „კალიარის" ძლევა და სამი ქულა მოუტანა. თავად ბირჰოფისთვის კი ეს მეშვიდე გოლი იყო სეზონში.

„რეჯო ემილიაზე" კი გულშემატკივრებმა მოედანზე ბლომად ხურდა და მაშხალები გადაყარეს. ასე ერთობოდნენ. დაშავებით არავინ დაუშავებიათ. ერთმანეთის პირისპირ იდგნენ „რეჯანა" და „პარმა", ლიგის ყველაზე ცოტა გოლგამტანი გუნდები („პიაჩენცასთან" ერთად). „პარმას" ჩემპიონატის წინა ექვსი სტუმრობიდან ხუთჯერ 1:0 ჰქონდა მოგებული, მაგრამ ახლა იგივე ვერ გაიმეორა. მეტოქეებმა ცოტა გოლის შეყრის ტრადიციას არ უღალატეს. მეტიც, სულაც არ გაიტანეს.

ბაჩუნა ქადია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 20 | 11 | 7 | 2 | 28:14 | 40 |
| სამპდორია | 20 | 10 | 5 | 5 | 41:27 | 35 |
| ბოლონია | 20 | 9 | 4 | 7 | 32:25 | 31 |
| ინტერი | 20 | 7 | 10 | 3 | 28:23 | 31 |
| ატალანტა | 20 | 8 | 7 | 5 | 27:23 | 31 |
| პარმა | 20 | 8 | 7 | 5 | 19:16 | 31 |
| ვიჩენცა | 20 | 8 | 6 | 6 | 31:25 | 30 |
| რომა | 20 | 8 | 6 | 6 | 30:24 | 30 |
| მილანი | 20 | 8 | 4 | 8 | 29:26 | 28 |
| ნაპოლი | 20 | 7 | 7 | 6 | 24:27 | 28 |
| ფიორენტინა | 20 | 6 | 9 | 5 | 28:22 | 27 |
| ლაციო | 20 | 7 | 6 | 7 | 24:22 | 27 |
| უდინეზე | 20 | 7 | 5 | 8 | 28:29 | 26 |
| პიაჩენცა | 20 | 5 | 8 | 7 | 17:24 | 23 |
| პერუჯა | 20 | 5 | 4 | 11 | 24:38 | 19 |
| ვერონა | 20 | 4 | 5 | 11 | 23:39 | 17 |
| კალიარი | 20 | 3 | 7 | 10 | 20:33 | 16 |
| რეჯანა | 20 | 1 | 9 | 10 | 16:32 | 12 |

## სერია B

22-ე ტური: ბარი — ტორინო 0:0, ჩეზენა — კიევო 1:1, კოზენცა — ჯენოა 0:0, კრემონეზე — დი სანგრო 2:1, ემპოლი — რავენა 1:4, ფოჯა — ლეჩე 0:0, ლუკეზე — ბრეშია 0:3, პალერმო — სალერნიტანა 1:1, პესკარა — რეჯინა 3:0, ვენეცია — პადოვა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პესკარა | 22 | 11 | 7 | 4 | 33:18 | 40 |
| ლეჩე | 22 | 11 | 7 | 4 | 34:25 | 40 |
| ტორინო | 22 | 10 | 7 | 5 | 32:23 | 37 |
| ბრეშია | 22 | 10 | 7 | 5 | 28:21 | 37 |
| ბარი | 22 | 7 | 12 | 3 | 28:18 | 33 |
| ჯენოა | 22 | 7 | 11 | 4 | 31:16 | 32 |
| რავენა | 22 | 9 | 7 | 6 | 27:24 | 31 |
| ფოჯა | 22 | 8 | 7 | 7 | 24:25 | 31 |
| ემპოლი | 22 | 8 | 7 | 7 | 24:26 | 31 |
| კიევო | 22 | 6 | 11 | 5 | 23:22 | 29 |
| პადოვა | 22 | 5 | 10 | 7 | 23:28 | 25 |
| ვენეცია | 22 | 5 | 9 | 8 | 25:25 | 24 |
| პალერმო | 22 | 4 | 12 | 6 | 24:28 | 24 |
| ლუკეზე | 22 | 5 | 9 | 8 | 16:22 | 24 |
| კოზენცა | 22 | 5 | 8 | 9 | 22:28 | 23 |
| რეჯინა | 22 | 5 | 8 | 9 | 20:27 | 23 |
| სალერნიტანა | 22 | 5 | 8 | 9 | 12:23 | 23 |
| ჩეზენა | 22 | 4 | 10 | 8 | 19:23 | 22 |
| კრემონეზე | 22 | 5 | 7 | 10 | 14:23 | 22 |
| დი სანგრო | 22 | 6 | 4 | 12 | 14:28 | 22 |

რავენას ჩამოკლებული აქვს 3 ქულა.




მილანი — ბოლონია. იმ დღეს ვეას შეჩერება შეუძლებელი იყო

## ჰოლანდია

21-ე ტური: სპარტა — ბრედა 2:4, ვალვაიკი — გრონინგენი 1:1, უტრეხტი — [illegible] 0:1, ვიტესი — [illegible] 1:0, [illegible] — ფეიენოორდი 0:2, ჰერენვენი — ალკმაარი 0:0, გრააფსხაპი — აიაქსი 0:2, როდა — ტვენტე 1:3, ტილბურგი — ნაიმეგენი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 21 | 15 | 3 | 3 | 60:15 | 48 |
| ფეიენოორდი | 21 | 15 | 3 | 3 | 38:21 | 48 |
| ტვენტე | 21 | 13 | 4 | 4 | 34:16 | 43 |
| ვიტესი | 21 | 10 | 6 | 5 | 33:23 | 36 |
| აიაქსი | 21 | 8 | 9 | 4 | 26:19 | 33 |
| გრააფსხაპი | 21 | 10 | 3 | 8 | 33:30 | 33 |
| როდა | 21 | 9 | 6 | 6 | 28:26 | 33 |
| ჰერენვენი | 21 | 7 | 9 | 5 | 33:28 | 30 |
| ბრედა | 21 | 8 | 4 | 9 | 26:33 | 28 |
| ტილბურგი | 21 | 7 | 4 | 10 | 25:33 | 25 |
| უტრეხტი | 21 | 4 | 10 | 7 | 19:32 | 22 |
| სპარტა | 21 | 6 | 3 | 12 | 24:31 | 21 |
| ალკმაარი | 21 | 5 | 4 | 12 | 17:25 | 19 |
| გრონინგენი | 21 | 4 | 7 | 10 | 23:38 | 19 |
| ვალვაიკი | 21 | 3 | 7 | 11 | 19:34 | 16 |
| ნაიმეგენი | 21 | 3 | 7 | 11 | 21:40 | 16 |

## საფრანგეთი

26-ე ტური: ნანტი — ოსერი 0:0, მონაკო — ლეავრი 3:0, მარსელი — ლილი 5:1, სტრასბური — ნიცა 3:1, კანი — ლიონი 0:1, ლანსი — პსჟ 1:2, ნანსი — რენი 1:0, გინგამი — ბორდო 2:2, მონპელიე — მეცი 1:0. კაენი — ბასტია გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 26 | 16 | 7 | 3 | 48:20 | 55 |
| პსჟ | 26 | 13 | 9 | 4 | 38:20 | 48 |
| ბასტია | 25 | 13 | 6 | 6 | 36:26 | 45 |
| სტრასბური | 26 | 14 | 1 | 11 | 35:34 | 43 |
| ოსერი | 26 | 11 | 9 | 6 | 32:19 | 42 |
| ბორდო | 26 | 11 | 9 | 6 | 39:29 | 42 |
| ნანტი | 26 | 9 | 12 | 15 | 44:26 | 39 |
| მეცი | 26 | 10 | 9 | 7 | 28:23 | 39 |
| მარსელი | 26 | 9 | 10 | 7 | 30:23 | 37 |
| ლიონი | 26 | 9 | 9 | 8 | 35:39 | 36 |
| გინგამი | 26 | 8 | 9 | 9 | 22:24 | 33 |
| რენი | 26 | 9 | 5 | 12 | 30:37 | 32 |
| კანი | 26 | 7 | 9 | 10 | 16:25 | 30 |
| ლილი | 26 | 7 | 9 | 10 | 25:39 | 30 |
| მონპელიე | 26 | 6 | 11 | 9 | 22:27 | 29 |
| ლანსი | 26 | 8 | 5 | 13 | 29:41 | 29 |
| ლე ავრი | 26 | 6 | 9 | 11 | 24:32 | 27 |
| ნანსი | 26 | 5 | 7 | 14 | 22:34 | 22 |
| კაენი | 25 | 4 | 9 | 12 | 21:32 | 21 |
| ნიცა | 26 | 4 | 6 | 16 | 21:47 | 18 |

## პორტუგალია

XX ტური: ჟილ ვისენტე — ბრაგა 1:1, სეტუბალი — ბენფიკა 0:2, ლეირია — გიმარაეში 2:3, შავეში — პორტუ 2:4, სალგეიროში — ლეცა 1:0, ამადორა — მარიტიმუ 0:0, ესპინიუ — ბელენენსეში 0:1, სპორტინგი — რიუ ავე 2:0, ბოავიშტა — ფარენსე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 20 | 18 | 2 | 0 | 50:10 | 56 |
| სპორტინგი | 20 | 12 | 5 | 3 | 31:10 | 41 |
| ბენფიკა | 20 | 12 | 4 | 4 | 35:12 | 40 |
| გიმარაეში | 20 | 9 | 4 | 7 | 31:26 | 31 |
| ბრაგა | 20 | 8 | 7 | 5 | 25:29 | 31 |
| ამადორა | 20 | 8 | 6 | 6 | 23:19 | 30 |
| ესპინიუ | 20 | 8 | 4 | 8 | 19:25 | 28 |
| შავეში | 20 | 7 | 6 | 7 | 24:29 | 27 |
| სეტუბალი | 20 | 6 | 7 | 7 | 23:27 | 25 |
| სალგეიროში | 20 | 6 | 7 | 7 | 25:30 | 25 |
| მარიტიმუ | 20 | 6 | 6 | 8 | 23:29 | 24 |
| ბელენენსეში | 20 | 6 | 6 | 8 | 25:34 | 24 |
| ლეცა | 20 | 6 | 5 | 9 | 23:26 | 23 |
| ფარენსე | 20 | 5 | 8 | 7 | 16:19 | 23 |
| ბოავიშტა | 20 | 4 | 10 | 6 | 26:26 | 22 |
| ლეირია | 20 | 4 | 4 | 12 | 15:32 | 16 |
| რიუ ავე | 20 | 3 | 4 | 13 | 20:33 | 13 |
| ჟილ ვისენტე | 20 | 2 | 5 | 13 | 18:36 | 11 |

## საბერძნეთი

21-ე ტური: პაოკი — აპოლონი 3:1, ირაკლისი — აეკი 2:2, პანათინაიკოსი — პანახაიკი 2:0, კასტორია — კავალა 0:1, იონიკოსი — ედესაიკოსი 1:3, ოფი — ქსანტი 3:0, ვერია — ათინაიკოსი 1:0, პანილიაკოსი — არისი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 20 | 15 | 3 | 2 | 32:9 | 48 |
| პანათინაიკოსი | 21 | 14 | 3 | 4 | 40:11 | 45 |
| აეკი | 21 | 13 | 4 | 4 | 43:18 | 43 |
| ოფი | 21 | 12 | 4 | 5 | 31:17 | 40 |
| კავალა | 21 | 10 | 4 | 7 | 24:18 | 34 |
| პაოკი | 21 | 8 | 8 | 5 | 21:19 | 32 |
| პანილიაკოსი | 21 | 9 | 4 | 8 | 27:24 | 31 |
| ვერია | 21 | 9 | 4 | 8 | 24:17 | 31 |
| პანახაიკი | 21 | 7 | 7 | 7 | 21:23 | 28 |
| იონიკოსი | 21 | 8 | 3 | 10 | 22:26 | 27 |
| კალამატა | 20 | 6 | 7 | 7 | 23:29 | 25 |
| აპოლონი | 21 | 7 | 3 | 11 | 24:30 | 24 |
| ირაკლისი | 21 | 6 | 5 | 10 | 22:33 | 23 |
| ედესაიკოსი | 21 | 6 | 4 | 11 | 26:34 | 22 |
| ათინაიკოსი | 21 | 6 | 4 | 11 | 20:35 | 22 |
| ქსანტი | 21 | 5 | 6 | 10 | 26:33 | 21 |
| არისი | 21 | 4 | 8 | 9 | 17:32 | 17 |
| კასტორია | 21 | 1 | 3 | 17 | 10:45 | 6 |

არისს ჩამოკლებული აქვს 3 ქულა.

# რობსონის ეშმაკობანი

## ესპანეთი

XXIV ტური

**ლოგრონიესი 1:1 კომპოსტელა**

**0:1 ოპენი (16), 1:1 კლიტეცი (41)**

**სპორტინგი 0:0 სოსიედადი**

**ბარსელონა 1:0 რასინგი**

**1:0 ლუის ენრიკე (43)**

**ვალიადოლიდი 2:1 ესპანიოლი**

**0:1 უედეკი (14), 1:1 ხანჩესი (25), 2:1 ხანჩესი (87)**

**ბილბაო 3:2 ოვიედო**

**0:1 გამბოა (20), 1:1 ურხიახი (49), 2:1 ურხიახი 67), 2:2 ანია (79), 3:2 ურხიახი (87)**

**ესტრემადურა 1:0 ვალეკანო**

**1:0 ხილვანი (82)**

**სელტა 3:0 ერკულესი**

**1:0 ინდიახი (19), 2:0 მოხტოვოი (27), 3:0 რევივო (88)**

**დეპორტივო 0:0 ატლეტიკო**

**რეალი 2:2 ბეტისი**

**0:1 ალფონსო (7), 1:1 მიატოვიჩი (20), 2:1 პანუჩი (52), 2:2 ფინიდი (60)**

**სევილია 2:1 ტენერიფე**

**1:0 გომეში (8 საჯ. კარში), 1:1 იოკანოვიჩი (54), 2:1 ბალეხტერი (74)**

**ვალენსია 1:1 სარაგოსა**

**1:0 ლოპესი (13), 1:1 გონსალესი (81)**

„რეალს" ფეხი დაუცდა.

— ბედნიერი ვარ. ვითამაშეთ უშიშრად, ვაჩვენეთ ჩვენი სახე. ტყუილი იქნებოდა იმის უარყოფა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" მიღწეულმა ფრემ მეტად გაგვახარა — თქვა შეხვედრის შემდეგ „ბეტისის" მწვრთნელმა სერა ფერერმა.

„ბეტისმა" პირველი წუთები ჩინებულად ჩაატარა, მე-7 წუთზე კი შედეგსაც მიაღწია. ნიგერიელმა ჯორჯ ფინიდიმ მარჯვენა ფრთაზე ასპარეზი გამოძებნა და მადრიდელთა მცველებისთვის უხელთებელი პასი ჩააწოდა, რომელსაც ალფონსო პერესმა თავით მიუჩინა ბოდო ილგნერის კარში ადგილი.

სტუმრებს მალევე შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა. ხორვატი რობერტ იარნის მიერ ჯარიმიდან დარტყმული ბურთი ძელმა მოიგერია, თორემ ილგნერი ვერას ხდებოდა. გამოხდა რამდენიმე მომენტი და ახლა პრედრაგ მიატოვიჩმა გაარტყა, ხარიხას — ძელი ძელის წილ.

მადრიდელთა ვარსკვლავბიჭუნა რაული იმ დღეს მარცხენა ფრთაზე ჩვეულზე უმარილოდ ირჯებოდა, სამაგიეროდ მარჯვენივ დავორ შუკერი და ზემოხსენებული მიატოვიჩი აწიოკებდნენ „ბეტისის" მცველს ტომას ოლიასს. სწორედ მარჯვენაფლანგური შეტევით გაქვითა „სამეფო გუნდმა" მე-20 წუთზე. ემილიო ამავისკას ჩინებულმა გარღვევამ სტუმართა დაცვა აწეწა, მიატოვიჩს კი მისი გადაწოდებულის კარში გატანა არ გასჭირვებია.

მეორე ნახევარში „ბეტისმა" კიდევ უფრო უმატა თამაშს, თუმცა გოლი გაუშვა. ჯარიმიდან რობერტო კარლოსმა მეკარის ბაქანში ჩაჰკიდა, იქ კი ყოფილმა მილანელმა კრისტიან პანუჩიმ მიაღწია საწადელს.

საწადელს მიაღწია არბიტრმაც. როდესაც შეხედა, რომ გოლით გახარებულმა პანუჩიმ მაისური გაიხადა და კუთხურის დროშა ამოთხარა მიწიდან (ხალხს უქნევდა), მან დაუყოვნებლივ ყვითელი წამლით დააცხრო იტალიელის ვნებები.

„ბეტისმა" მე-60 წუთზე გაქვითა. იარნის მიერ ჯარიმიდან ჩაწოდებულს თავისი „აიაქსის" დროინდელ თანაგუნდელ კლარენს ზეედორფზე უფრო სხარტად ფინიდი გამოეხმაურა და გოლი შეაგდო.

ბოდო ილგნერმა ერთი ხნის შემდეგ „რეალი" წაგებას გადაარჩინა. ალფონსოს დარტყმული ჩინებულად მოიგერია, თუმცა არც მისი კოლეგა ტონი პრატსი დარჩენილა ვალში. ბოლო წუთი იყო, როდესაც რობერტო კარლოსს იმედი ხარიხას მიღმა გადაუგდო.

— ჩვენ დავამტკიცეთ, რომ სტუმრად კარგად თამაში შეგვიძლია და აწი ბარსელონაში თავდაჯერებულნი ჩავალთ — განაცხადა ალფონსომ.

„ბარსას" კი, ამასობაში, „რეალის" ფრემ ცხრილში ქულათა სხვაობის შემცირების შესაძლებლობა მისცა. ამის და კიდევ თანამდებობაზე დარჩენის იმედი ჩაესახა კატალონიელთა ინგლისელ თავკაცს ბობი რობსონსაც, თუმცა მეტოქე ჰყავდათ ისეთი, ტრადიციულად უხერხული რომ ჰქვია.

„ბარსელონას" შემადგენლობაში ცვლილებები იყო. გამოჩნდნენ ოქტომბრიდან გაუჩინარებული ანხელ კუელარი და სარეზერვო გუნდის ყოფილი მოთამაშე ალბერტ სელადესი. ამით რობსონმა მართლა შეცვალა კურსი თუ განრისხებული ქომაგები მოთაფლა, ძნელი სათქმელია. ფაქტი ისაა, რომ მათ, ქომაგებს, სელადესის და ივან დელა პენიას ხილვა უფრო უხარიათ, ვიდრე უცხოელი ვარსკვლავებისა.

უხერხულ მეტოქეს, „რასინგს" კატალონიელებმა ერთი გოლით აჯობეს. გოლი პირველი ტაიმის მიწურულს, ანხელ კუელარის მიერ საჯარიმოდან ჩაწოდებული პასით ლუის ენრიკემ გაიტანა.

კიდევ: ხუან პიცი, ეს გაესპანელებული არგენტინელი შეცვლაზე შესვლისა და გოლის გატანის დიდოსტატია, მაგრამ ერთი ალილო მღვდელსაც შეცდებაო: სანტანდერელებთან მატჩში პიცი მოედანზე გავიდა და გატანის ნაცვლად მეტოქის არგენტინელსავე გაბრიელ შურერს ისე დაეძგერა, წითელი ბარათი ალუმართეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 24 | 16 | 8 | 0 | 51:20 | 56 |
| ბარსელონა | 24 | 15 | 5 | 4 | 63:30 | 50 |
| ბეტისი | 23 | 13 | 7 | 3 | 50:23 | 46 |
| დეპორტივო | 24 | 10 | 11 | 3 | 32:18 | 41 |
| სოსიედადი | 24 | 12 | 5 | 7 | 33:26 | 41 |
| ატლეტიკო | 23 | 11 | 7 | 5 | 44:29 | 40 |
| ვალიადოლიდი | 24 | 10 | 7 | 7 | 32:27 | 37 |
| ბილბაო | 24 | 9 | 9 | 6 | 42:34 | 36 |
| რასინგი | 24 | 8 | 10 | 6 | 25:23 | 34 |
| ტენერიფე | 23 | 9 | 6 | 8 | 38:25 | 33 |
| ვალენსია | 24 | 9 | 6 | 9 | 32:30 | 33 |
| სელტა | 24 | 7 | 8 | 9 | 27:31 | 29 |
| ოვიედო | 24 | 7 | 7 | 10 | 31:33 | 28 |
| ესპანიოლი | 24 | 7 | 5 | 12 | 29:35 | 26 |
| სპორტინგი | 23 | 6 | 8 | 9 | 23:31 | 26 |
| კომპოსტელა | 24 | 6 | 7 | 11 | 23:43 | 25 |
| რაიო | 23 | 6 | 6 | 11 | 24:34 | 24 |
| სარაგოსა | 24 | 4 | 10 | 10 | 26:40 | 22 |
| ლოგრონიესი | 24 | 6 | 4 | 14 | 18:49 | 22 |
| სევილია | 23 | 6 | 3 | 14 | 20:34 | 21 |
| ესტრემადურა | 24 | 4 | 7 | 13 | 15:38 | 19 |
| ერკულესი | 24 | 5 | 4 | 15 | 21:46 | 19 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდო (ბარსელონა) | 18 |
| შუკერი (რეალი) | 16 |
| სიგანდა (ბილბაო) | 13 |
| ოლი (ოვიედო) | 12 |
| ლუის ენრიკე (ბარსელონა) | 12 |
| გერერო (ბილბაო) | 11 |
| რაული (რეალი) | 11 |
| გერერო (ბილბაო) | 11 |
| რაული (რეალი) | 11 |
| მიატოვიჩი (რეალი) | 11 |
| ესნაიდერი (ატლეტიკო) | 11 |
| ალფონსო (ბეტისი) | 11 |
| ოპენი (კომპოსტელა) | 11 |



ასე მოულოცა ფერნანდო კოუტომ ლუის ენრიკეს გადამწყვეტი გოლი

# სიტი ჩამოთასდა

## ინგლისი

გასულ უქმეებზე თასის ორი წრისა და ჩემპიონატის მატჩები გაიმართა

### პრემიერლიგა

**დერბი ქაუნთი 1:0 ვესტ ჰემი**

**დერბი: ჰოლტი, კერსლი, როუეტი, მაკგრათი, შტიმაცი, კ.პაუელი, ვან დერ ლაანი, ასანოვიჩი, ტრილოპი, დეილი, სტარიჯი**

**ვესტ ჰემი: მიკლოშკო, ბრეიკერი, დიქსი, პოტსი, რიპერი (პორფირიუ 55), უილიამსონი, როულენდი (ლამპერდი 80), ბიშოპი, კიტსონი, ფერდინანდი, ჰართსონი**

**გოლი: ასანოვიჩი (55 პ)**

წმინდა ვალენტინის ანუ სიყვარულის დღე მეტოქეებმა მეტად უხეში თამაშით აღნიშნეს. მსაჯს საქმე არ მოჰკლებია, არც ყვითელი ბარათების ჩვენებას მორიდებია: მე-14-დან 28-ე წუთამდე ეშზიმ ოთხი კაცი გააფრთხილა. პირველად ჯარიმა „ვესტ ჰემში" 5 მილიონ გირვანქად გადასულმა ჰართსონმა დაიმსახურა. იგი ისე უხეშად ეთამაშა შტიმაცს, რომ მისი გაძევება უფრო უპრიანი იქნებოდა. ჰართსონს არც ბრეიკერი ჩამორჩა — იგი კრის პაუელთან უხეშობისთვის გააფრთხილეს, ასანოვიჩი არასპორტული საქციელისთვის დაისაჯა, სტარიჯი — ბრეიკერთან კინკლაობისთვის. მეორე ტაიმში 18 ათასმა გულშემატკივარმა, როგორც იქნა, იხილა ნანატრი გოლი. ხორვატი ალიოშა ასანოვიჩი სოლო რეიდის შემდეგ საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ მარკ რიპერმა და ნიუკასლელი ფერდინანდის ნათესავმა რიომ ფორვარდი წააქციეს. ეშზიმ თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა და დაზარალებულმა შანსი არ დაუტოვა ჩეხ ლუდეკ მიკლოშკოს. 75-ე წუთზე ფერდინანდი და ტრილოპი უშვერი სიტყვებით გაუმასპინძლდნენ ერთმანეთს და ეშზისაც სხვა არაფერი დარჩენოდა მათი გაფრთხილების გარდა.

**ტოტენჰემი 0:0 არსენალი**

**ტოტენჰემი: უოქსი, ოსტინი, ედინბურგი, ჰოუელსი, კალდერვუდი, ივერსენი, კემბელი, კარი, სინტონი, ანდერტონი, როზენტალი**

**არსენალი: ლუჩიკი, დიქსონი, ვინთერბერნი, ვიეირა, ბოულდი, ადამსი, რაიტი, მერსონი (ჰიუზი 88), პარლოუ, ბერხკამპი, კიოუნი**

ბოლო ექვს შეხვედრაში „ტოტენჰემი" ხუთჯერ დამარცხდა და ახლა, როგორც იქნა, შეწყვიტა უიღბლო სერია. მასპინძელთაგან სეზონში პირველად ითამაშა ისრაელის ნაკრების ფორვარდმა რონი როზენტალმა. ტრავმის შემდეგ კვლავ გამოჩნდა გამოჯანმრთელებული დარენ ანდერტონი. „არსენალის" ძირითადში კი დაბრუნდა დისკვალიფიცირებული ბერხკამპი, თუმცა მთელი შეხვედრა უნიათოდ ჩაატარა. სტუმართა დაცვას ლიდერად ტრავმამოშუშებული ტონი ადამსი მოევლინა, რომელმაც აშკარად გააძლიერა „არსენალი". 43-ე წუთზე „არსენალი" თერთმეტმეტრიანს გადაურჩა: ლი დიქსონმა ედინბურგი საჯარიმო კუთხეში წააქცია, მაგრამ მსაჯმა წესის დარღვევა საჯარიმოს გარეთ დააფიქსირა. მეორე ტაიმში „ტოტენჰემმა" იძალა — ანდერტონის წყალობით 20 წუთი მასპინძლებმა მეტოქის ნახევარზე გაატარეს. ლუკიჩმა ორჯერ ითამაშა ჩინებულად: ჯერ იყო და, როზენტალის მოჭრილი აიღო, 59-ზე კი ანდერტონის ახლოდან დარტყმულს დახვდა ადგილზე. 78-ე წუთზე „არსენალის" გოლკიპერმა სტივენ კარის დარტყმული აიღო, ანდერტონმა დაამატა, მაგრამ ლუკიჩმა კვლავ ივარგა. ერთი სიტყვით, „არსენალი" ქულას თავის 37 წლის მეკარეს უნდა უმადლოდეს.

### თასის მერვედფინალი

**ლესტერი 2:2 ჩელსი**

**ლესტერი: კელერი, გრეისონი, უოტსი, პრაიორი, უოლში, კემპბელი (ლოურენსი 80), პარკერი, ტეილორი, კლარიჯი, რობინსონი (უილსონი 65), მარშალი**

**ჩელსი: ჰიჩკოკი, პეტრესკუ, ლებეფი, კლარკი, ჰიუზი, უაიზი, დიმატეო (გულიტი 87), მინტო, სინკლერი, ნიუტონი, ძოლა (ვიალი 68)**

**გოლი: დი მატეო (16), ჰიუზი (35), უოლში (52), ნიუტონი (88 საკკარში)**

პირველი ტაიმის შემდეგ „ჩელსის" მოგება თითქოს განაღდებული ჰქონდა. მეორეშიც ძლიერად გამოიყურებოდა, მაგრამ ლესტერელებმა ორი ჯარიმა დაარტყეს და ორივე შეაგდეს. პირველ ტაიმში ლონდონელები უტევდნენ და ორჯერ გაიხარეს. ჯერ იტალიელი დი მატეო გამოირჩა: მასპინძელთა საჯარიმოში შეიჭრა, ბურთი წინ გაიგდო და მასპინძელთა ამერიკელ მეკარე კელერს შანსი არ დაუტოვა. ამას მალე მეორეც დაემატა: ტაიმის შუაგულში ნიუტონის დაწყებული კომბინაცია დი მატეომ და პეტრესკუმ გააგრძელეს, შეტევა კი უელსელმა მარკ ჰიუზმა დააგვირგვინა. შესვენებაზე გულშემატკივართა შორის ჩოჩქოლი ატყდა. სიტუაცია იმდენად დაძაბული იყო, რომ საქმეში პოლიცია ჩაერია. მეორე ტაიმში „ჩელსი" დარჩა გაოგნებული: პარკერის საჯარიმო დარტყმას უოლში შეეწვდა და ჰიჩკოკს გაუტანა, მერე კი ნიუტონმა დალაშქრა საკუთარი კარი.

**ჩესტერფილდი 1:0 ნოტინგემი**

**გოლი: კერტისი (54)**

„ჩესტერფილდმა" ნამდვილი სენსაცია მოახდინა. მეორე დივიზიონის საშუალო კლუბმა თასიდან პრემიერლიგელი დაიფრინა. მეორე ტაიმის მე-9 წუთზე ჰოვარდი კროსლისთან პირისპირ გავიდა. მეკარეს ბევრი არ უფიქრია — თავდამსხმელის შეტევა აკრძალული ხერხით შეაჩერა. არბიტრმა კროსლის ნაადრევად დაატოვებინა მოედანი და თერთმეტმეტრიანის დანიშვნაც არ დაახანა. დარტყმა „ჩესტერფილდის" შტატიანმა პენალტისტმა ტომ კერტისმა ითავა და გაამართლა კიდეც.

**სიტი 0:1 მიდლსბრო**

**სიტი: მარგეტსონი, მაკგოლდრიკი, ინგრემი, ლომასი, საიმონსი, ბრაიტველი, სამერბი, ბრაუნი (ბიგრი 63), კრუქსი, ქინქლაძე (დიკოვი 65), როსლერი**

**მიდლსბრო: რობერტსი, კოქსი, ფლემინგი, ფესტა, ვიკერსი, მასტო, სტამპი, უაიტი, ჟუნინიო, ჰინეში, რავანელი**

**გოლი: ჟუნინიო (77)**

ფრენკ კლარკის „სიტიში" მისვლის შემდეგ მასპინძლებმა პირველად წააგეს, „მიდლსბრო" კი პირველად გავიდა თასის მეოთხედფინალში. პირველი სახიფათო მომენტი ქინქლაძემ შექმნა: მე-2 წუთზე ჩინებულად გასცდა მეურვეს, გზად კიდევ ერთი ჩამოიშორა, მაგრამ ბოლო მომენტში ბურთი აუხტა და მცველთა დასახმარებლად ჩასულმა რავანელიმ ბურთი „მიდლსბროს" კარიდან შორს გადააგდო. მალე ლომასის თაური გადასცდა მცირედით ხარიხას. მეორე ტაიმის 50-ე წუთზე რავანელის თაური მცირედით ასცდა მასპინძელთა კარს. დამთავრებამდე 13 წუთით ადრე კი ჟუნინიომ დაასამარა „სიტის" ოცნებები. „მიდლსბრო" მეოთხედფინალში გავიდა. ამავე დროს კლუბი უკვე გასულია ლიგის თასის ნახევარფინალში.

**მერვედფინალის სხვა მატჩები ასე დასრულდა: ბრედფორდი — შეფილდ უენსდეი 0:1, ბირმინგემი — რექსჰემი 1:3, ლიდსი — პორტსმუთი 2:3, უიმბლდონი — ქუინზ პარკი 2:1. ასევე ჩატარდა მეოთხე წრის ერთი შეხვედრა: ბლექბერნი — ქოვენთრი 1:2.**

**კენჭისყრამ მეოთხედფინალში გუნდები ასე დააწყვილა: შეფილდ უენსდეი — უიმბლდონი, პორტსმუთი — ლესტერი ან ჩელსი, დერბი ან ქოვენთრი — მიდლსბრო, ჩესტერფილდი — რექსჰემი. შეხვედრები 8 და 9 მარტს გაიმართება.**

### პირველი დივიზიონი

**შაბათ-კვირას რამდენიმე მატჩი გაიმართა: ბოლტონი — შეფილდ იუნაიტედი 2:2, ჩარლტონი — ბარნსლი 2:2, გრიმსბი — ჰადერსფილდი 2:2, ნორვიჩი — ვესტბრომვიჩი 2:4, ოქსფორდი — ოლდემი 3:1, პორტ ვეილი — იფსვიჩი 2:2, საუთენდი — სტოკ სიტი 2:1, უოლვერჰემპტონი — კრისტალ პალასი 0:3.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 33 | 18 | 11 | 4 | 63-42 | 65 |
| ბარნსლი | 32 | 15 | 10 | 6 | 53-35 | 55 |
| ვულვზი | 32 | 16 | 7 | 9 | 44-31 | 55 |
| შეფილდი | 32 | 14 | 9 | 9 | 54-38 | 51 |
| კრისტალ პალ. | 31 | 13 | 10 | 8 | 59-33 | 49 |
| ნორვიჩი | 32 | 14 | 7 | 11 | 46-48 | 49 |
| სტოკ სიტი | 31 | 13 | 7 | 11 | 40-43 | 46 |
| იფსვიჩი | 32 | 11 | 12 | 9 | 45-51 | 45 |
| პორტსმუთი | 32 | 13 | 6 | 13 | 38-37 | 45 |
| პორტ ვეილი | 33 | 10 | 14 | 9 | 40-38 | 44 |
| ოქსფორდი | 32 | 12 | 7 | 13 | 46-41 | 43 |
| ქუინზ პარკი | 32 | 11 | 10 | 11 | 44-45 | 43 |
| ტრანმერი | 31 | 12 | 7 | 12 | 43-42 | 43 |
| სვინდონი | 32 | 12 | 6 | 14 | 48-44 | 42 |
| ვესტ ბრომვიჩი | 33 | 9 | 14 | 10 | 54-58 | 41 |
| ჰადერსფილდი | 33 | 10 | 11 | 12 | 39-46 | 41 |
| ჩარლტონი | 31 | 11 | 6 | 14 | 35-43 | 39 |
| რედინგი | 31 | 9 | 10 | 12 | 40-48 | 37 |
| ბარმინგემი | 29 | 9 | 10 | 10 | 32-33 | 37 |
| სიტი | 30 | 10 | 5 | 15 | 36-43 | 35 |
| საუთენდი | 32 | 7 | 11 | 14 | 30-56 | 32 |
| გრიმსბი | 31 | 7 | 10 | 14 | 40-55 | 31 |
| ბრედფორდი | 32 | 7 | 10 | 16 | 30-49 | 31 |
| ოლდემი | 30 | 6 | 10 | 14 | 31-41 | 28 |

## გერმანია

**მე-18 ტური. დორტმუნდი — [illegible] რკუზენი 2:1, კიოლნი — ფორტუნა 2:0, შალკე — შტუტგარტი 1:0, დუისბურგი — ბოხუმი 1:1, [illegible] ჰანზა 1:1, ბაიერნი — ზანქტ პაული 3:0, ვერდერი — ფრაიბურგი 1:0, ჰამბურგი — მიუნხენ 1860 2:3, არმინია — მიონხენგლადბახი 0:2**

წაგება მხოლოდ ჩვენს თავს უნდა დავაბრალოთ, მეორე ტაიმში თავდასხმაში საშინლად ვითამაშეთ. დორტმუნდში კი, თუ გამარჯვება გსურს, ფეხბურთი უნდა ითამაშო — განაცხადა ლევერკუზენის „ბაიერის" მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა, ვისი გუნდიც იგებდა, მაგრამ მერე სამი გოლი გაუშვა.

ჩემი გუნდის თამაშით და შედეგით ძალიან, ძალიან კმაყოფილი ვარ — ვერ ფარავდა სიხარულს ჩემპიონთა მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი.

მიოლერმა ჩინებულად ითამაშა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ორი გოლი გაიტანა. იგი დაცვასაც ბევრს და ხშირად ეხმარებოდა, რაც ერთობ დასაფასებელია, რადგან მიოლერი შემტევი ყაიდისა უფროა, ვიდრე მეტოქეთა შეტევების ჩამშლელი — თქვა მათიას ზამერმა.

ეს დორტმუნდელთა მე-1000 მატჩი იყო ბუნდესლიგაში, შინ კი „ბორუსიამ" 290-ედ გაიმარჯვა, თანაც დორტმუნდში ზედიზედ ჩვიდმეტი მატჩია, წაგება არ იცის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 18 | 11 | 6 | 1 | 30:14 | 39 |
| დორტმუნდი | 18 | 11 | 4 | 3 | 39:19 | 37 |
| ლევერკუზენი | 18 | 10 | 4 | 4 | 39:25 | 34 |
| შტუტგარტი | 18 | 9 | 4 | 5 | 39:20 | 31 |
| კარლსრუე | 18 | 8 | 5 | 5 | 31:21 | 29 |
| კიოლნი | 18 | 9 | 2 | 7 | 34:30 | 29 |
| ბოხუმი | 17 | 7 | 7 | 3 | 24:22 | 28 |
| შალკე 04 | 18 | 8 | 4 | 6 | 26:26 | 28 |
| ვერდერი | 18 | 7 | 4 | 7 | 30:28 | 25 |
| დუისბურგი | 18 | 6 | 5 | 7 | 18:23 | 23 |
| მიუნხენ 1860 | 18 | 5 | 6 | 7 | 28:33 | 21 |
| ჰამბურგი | 18 | 5 | 5 | 8 | 24:29 | 20 |
| არმინია | 18 | 5 | 4 | 9 | 20:30 | 19 |
| გლადბახი | 18 | 5 | 3 | 10 | 14:23 | 18 |
| ზანქტ პაული | 17 | 5 | 3 | 9 | 21:32 | 18 |
| ფორტუნა | 18 | 5 | 3 | 10 | 14:28 | 18 |
| ჰანზა | 18 | 4 | 4 | 10 | 20:27 | 16 |
| ფრაიბურგი | 18 | 4 | 1 | 13 | 20:41 | 13 |

## ბელგია

**23-ე ტური: შარლერუა — გენკი 1:0, ლოკერენი — სერკლ ბრიუგე 1:3, ანდერლეხტი — ანტვერპენი 2:3, ლომელი — ჰარელბეკე 1:0, მეხელენი — სენტ ტრიუდენი 0:2, ეკერენი — სტანდარდი 4:0, ბრიუგე — მოლენბეკი 1:0, მუსკრონ... — გენტი 3:0, აალსტი — ლიერსი 1:2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მუსკრონი | 23 | 14 | 7 | 2 | 43:19 | 49 |
| ბრიუგე | 23 | 14 | 4 | 5 | 45:27 | 46 |
| ლიერსი | 23 | 12 | 9 | 2 | 39:23 | 45 |
| ანდერლეხტი | 22 | 10 | 8 | 4 | 36:17 | 38 |
| ანტვერპენი | 23 | 12 | 2 | 9 | 37:35 | 38 |
| ჰარელბეკე | 23 | 11 | 4 | 8 | 36:25 | 37 |
| სტანდარდი | 23 | 11 | 2 | 10 | 37:35 | 35 |
| ლომელი | 22 | 10 | 5 | 7 | 32:33 | 35 |
| გენკი | 23 | 7 | 8 | 8 | 28:29 | 29 |
| გენტი | 23 | 8 | 4 | 11 | 34:43 | 28 |
| ლოკერენი | 23 | 7 | 6 | 10 | 32:37 | 27 |
| შარლერუა | 23 | 7 | 5 | 11 | 27:32 | 26 |
| მოლენბეკი | 23 | 7 | 5 | 11 | 23:30 | 26 |
| სტ. ტრიუდენი | 23 | 6 | 6 | 11 | 32:43 | 24 |
| ეკერენი | 23 | 6 | 5 | 12 | 30:38 | 23 |
| აალსტი | 23 | 5 | 8 | 10 | 28:39 | 23 |
| მეხელენი | 23 | 5 | 8 | 10 | 24:36 | 23 |
| სერკლ ბრიუგე | 23 | 3 | 6 | 14 | 26:49 | 15 |

## თურქეთი

**22-ე ტური: სამსუნი — დენიზლი 3:0, გაზიანთეფი — გენჩლერბირლიგი 2:0, ბურსა — ისთანბული 0:2, დარდანელი — ალთაი 3:1, ანთალია — ტრაბზონსფორი 0:3, ზეითუნბურნუ — ქოჯაელი 0:1, გალათასარაი — სარიერი 4:0, ანკარაგიუჯიუ — ვანსფორი 2:2, ბეშიქთაში — ფენერბაჰჩე 1:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 22 | 15 | 5 | 2 | 57:19 | 50 |
| ტრაბზონი | 22 | 15 | 3 | 4 | 43:21 | 48 |
| ფენერბაჰჩე | 22 | 14 | 5 | 3 | 41:14 | 47 |
| ბეშიქთაში | 22 | 13 | 7 | 2 | 49:15 | 46 |
| გაზიანთეფი | 22 | 11 | 7 | 4 | 26:18 | 40 |
| ბურსა | 22 | 11 | 5 | 6 | 32:22 | 38 |
| ქოჯაელი | 22 | 9 | 7 | 6 | 23:19 | 34 |
| გენჩლერბირ. | 22 | 9 | 4 | 9 | 27:27 | 31 |
| ისთანბული | 22 | 8 | 5 | 9 | 29:28 | 29 |
| სარიერი | 22 | 8 | 4 | 10 | 32:32 | 28 |
| სამსუნი | 22 | 7 | 6 | 9 | 27:35 | 27 |
| ანთალია | 22 | 7 | 5 | 10 | 24:30 | 26 |
| ანკარაგიუჯიუ | 22 | 6 | 5 | 11 | 24:33 | 23 |
| ალთაი | 22 | 5 | 7 | 10 | 19:39 | 22 |
| დარდანელი | 22 | 5 | 6 | 11 | 20:38 | 21 |
| ვანსფორი | 22 | 3 | 6 | 13 | 17:36 | 15 |
| დენიზლი | 22 | 3 | 3 | 16 | 21:49 | 12 |
| ზეითუნბურნუ | 22 | 2 | 4 | 16 | 18:55 | 10 |

## ფეხბურთის რუკასთან



ტაილანდში დასრულებულ ოთხთა საერთაშორისო ტურნირის ფინალურ მატჩში შვედებმა 3:1 მოუგეს მასპინძლებს და „მეფის თასი" მოიპოვეს. მესამე ადგილზე გავიდა იაპონია, რომელმაც რუმინელები 2:0 დაამარცხა.

**ტონგაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სოლომონის კუნძულების ნაკრებმა 4:0 დაამარცხა მასპინძელთა გუნდი.**

შოტლანდიის თასის მეოთხე წრეში შარშანდელმა ფინალისტმა „ჰართსმა" შინ 1:1 ითამაშა „დანდი იუნაიტედთან". 81-ე წუთზე ჯიმ ჰამილტონმა სტუმართა კარში გოლი გაიტანა და კლუბს შემდეგ წრეში გასვლის შანსი დაუტოვა. განმეორებითი შეხვედრა 25 თებერვლისთვისაა დანიშნული. მეოთხედფინალში ამ წყვილში გამარჯვებული ან „მოზერველს", ანაც „ჰამილტონს" შეხვდება.

**ჰოლანდიის პოლიციის ცნობით, ამსტერდამს 15 კილომეტრით დაშორებულ ერთ პატარა ქალაქში ერთმანეთს დაერივნენ „აიაქსისა" და „ფეიენოორდის" გულშემატკივრები, დაახლოებით 40-40 კაცი თითოეული მხრიდან. პოლიციელებს ჭუჩების გადაკეტვა მოუხდათ მათ დასაშოშმინებლად. მათი თქმით, მსხვერპლი არ არის, ეგაა, რამდენიმე დაშავებული საავადმყოფოში მოათავსეს.**

აშშ-ში 1998 წლიდან ქალთა ჩემპიონატსაც გააჩაღებენ. პირველობაში რვა გუნდი მიიღებს მონაწილეობას, ისინი ჯერ წრიული სისტემით ითამაშებენ, მერე კი ოლიმპიური სისტემით გააგრძელებენ შეჯიბრებას. გადამწყვეტი მატჩი ნეიტრალურ სტადიონზე, 1998 წლის 4 ივლისისთვისაა დაგეგმილი.

**ეგვიპტის „ზამალექმა" გაიმარჯვა აფრიკის სუპერთასის გათამაშებაში. ფინალურ შეხვედრაში „ზამალექმა" „არაბ კონტრაქტორსთან" 0:0 ითამაშა, პენალტების სერიაში კი 4:2 მოიგო.**

ბრაზილიელმა პელემ ახლახან ახალგაზრდა თვისტომ ვარსკვლავს რონალდოს შეუთვალა, ახალგაზრდა ხარ, მომავალი წინ გაქვს, ფულმა და სახელმა არ გაგაფუჭოს. ეცადე, ეს ყველაფერი თავში არ აგივარდეს, თორემ ისევე გაფუჭდები, როგორც მარადონაო. „მარადონა ბრწყინვალე მოთამაშეა, მაგრამ იგი თავის თავის მტერი გამოდგა. მან ნარკოტიკებით საკუთარ თავს ბოლო მოუღო." — განაცხადა 56 წლის პელემ კოსტა რიკის დედაქალაქ სან ხოსეში საგანგებოდ მისთვის გამართულ შეხვედრაზე.

**აფრიკის კონტინენტზე გაიმართა სხვადასხვა თასების შესარჩევი წრის საპასუხო შეხვედრები.** ჩემპიონთა თასი: ბფს (მადაგასკარი) — სენტ მიშელ იუნაიტედი (სეიშელის კ-ბი) 3:0 (პირველი მატჩი 2:1), ბობო დიულასო (ბურკინა ფასო) — ჟუნიორ პროფესიონალი (ლიბერია) 1:0 (0:2), კაფე ბენდ სპორიკი (ეკვატორული გვინეა) — მანისპორტი (კონგო) 0:1 (1:4). თასების თასი: აკონანგუი (ეკვატორული გვინეა) — რენესანსი (ჩადი) 1:4 (0:3), დინამო (ზიმბაბვე) — სიგარა (ტანზანია) 3:0 (0:1). ფეხბურთის კონფედერაციის თასი: ლოკომოტივი (ეთიოპია) — სიმბა (ტანზანია) 0:1 (1:4), კიოვუ (რუანდა) — ბატა ბულიტსი (მალავი) 2:1 (0:1).

ინგლისის ნაკრების მცველმა გარეთ საუთგეიტმა „ასტონ ვილასთან" კონტრაქტი 2001 წლამდე გააფორმა. საუთგეიტი ბირმინგემის კლუბში 1995 წელს გადავიდა „კრისტალ პალასიდან" 4 მილიონ დოლარად. „ასტონ ვილას" მწვრთნელმა ბრაიან ლიტლმა საუთგეიტის კონტრაქტის თაობაზე ეს განაცხადა: „გარეთი „ასტონ ვილას" მომავლის უეჭველი ნაწილია. მოხარული ვარ მისი გადაწყვეტილებით, იგი ნამდვილი პროფესიონალია."

**იტალიელი მცველი, „რომაში" მოთამაშე ენრიკო ანონი შესაძლოა შოტლანდიაში გადავიდეს. გლაზგოს „სელტიკის" თავმჯდომარემ ფერგიუს მაკკენმა „რომას" 30 წლის ფეხბურთელში 400 ათასი გირვანქა შესთავაზა. იტალიელებმა წვრილმანების განსახილველად მაკკენს აპენინებზე ჩასვლა შესთავაზეს. არ არის გამორიცხული, „სელტიკის" პორტუგალიელი ფორვარდი ჟორჟ კადეტე „ბენფიკაში" დაბრუნდეს.**

გერმანიის ფეხბურთის მამებმა საქვეყნოდ განაცხადეს, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესაძლო მასპინძლობისთვის უკვე შეიგულეს ის 21 ქალაქი, რომელთაგან მსოფლიო პირველობის მასპინძლებს შეარჩევენ. ფედერაციის ცნობით, ამ 21 ქალაქს 1 მაისს დაასახელებენ. მასპინძლობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია ბერლინი, თუმცა მისი სტადიონის რეკონსტრუქცია დაახლოებით 360 მილიონი დოლარი ეღირება.

**სამხრეთ აფრიკელმა, აწ უკვე გერმანიის მოქალაქემ შონ დანდიმ შესაძლოა პირველად ითამაშოს გერმანიის ნაკრებში. ბერტი ფოგტსმა 26 თებერვლისთვის თელ ავივში სათამაშოდ ნაკრების მოსამზადებელ ბანაკში დანდიც გამოიძახა. დანდიმ, ვინც კარლსრუესთან კონტრაქტით 2003 წლამდეა დაკავშირებული, განაცხადა, შესაძლოა, კლუბში დიდი-დიდი 1998 წლამდე დავრჩე, შემდეგ კი ახალში გადავალო.**

პორტუგალიის დედაქალაქში გაიმართა სასამართლო, რომელზეც მაისში ქვეყნის თასის ფინალურ მატჩზე „ბენფიკას" გულშემატკივრის მიერ „სპორტინგის" ქომაგის მკვლელობას განიხილავდნენ. ბენფიკელ უგო ივნასიოს გასროლამ სპორტინგელი რუი მენდესის სიცოცხლე შეიწირა. გამოძიებით დადგინდა, რომ ივნასიო იმ დღეს მთვრალიც იყო და ჰაშიშიც მოეწია, თუმცა სასამართლოში განაცხადა, გასროლა არ მინდოდა, იარაღი სრულიად შემთხვევით გამივარდაო.

# ძოლა უემბლიმ გადარია

## კვლავ დიდი მატჩის შესახებ



მამა-შვილი მალდინები ჩინებულ ხასიათზე არიან

იტალიელებთან „უემბლიზე" წაგება ინგლისელთათვის პირველი საშინაო მარცხი გამოდგა მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში. ინგლისელთა ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელს გლენ ჰოდლს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა. უმთავრეს შეცდომად მეტიუ ლე ტისიეს და იან უოქერის გამოყვანას უთვლიან. ინგლისელი ჟურნალისტების აზრით, იტალიელებთან მატჩმა ლე ტისიეს სანაკრებო კარიერა ისტორიას ჩააბარა, უოქერის თამაში კი სხვა ამბავია. გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობები, თითქოს უოქერს მხარი სტკიოდა, მან კი ეს მწვრთნელს არ აცნობა, რათა ნაკრებში სადებიუტო მატჩი ეთამაშა. ჰოდლმა უარყო ეს ყოველივე. მისი თქმით, უოქერისთვის მწვრთნელის მოტყუების დაბრალება უსამართლობაა, მას მხარი რამდენიმე კვირის მანძილზე სტკიოდა, თამაშის წინ ნაკრების ყველა წევრი ექიმებს გაესინჯა და მეკარე გამონაკლისი არ ყოფილა. ინგლისელები ძოლას გოლში მთავარ დამნაშავედ უოქერს მიიჩნევენ, თუმცა თავად მეკარემ განაცხადა, მართალია, ძოლამ ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთს მაინც მოვიგერიებდი, კემპბელს ფეხზე რომ არ მოხვედროდაო. „საშაბათს ვიცოდი, რომ ნაკრებში ვითამაშებდი. ფანტასტიკური გრძნობა დამეუფლა, როცა გადავსებულ „უემბლის" შევავლე თვალი. აქ თამაში ყველა ფეხბურთელისთვის ისტორიული მოვლენაა. მართალია, გოლი გავუშვი, მაგრამ 12 თებერვლის საღამო არასოდეს დამავიწყდება" — განაცხადა „ტოტენჰემის" მეკარემ.

„არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა, ვინაც თავის დროზე ჰოდლი „მონაკოში" მიიწვია და მის მწვრთნელად ჩამოყალიბებას დაუდო სათავე, თქვა, ჰოდლმა გარკვეული შეცდომები კი დაუშვა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მისი დადანაშაულება უსამართლობა იქნებაო: „ინგლისელებს იტალიელებთან მატჩში იღბლის მეტი არაფერი აკლდათ. მათ სწორედ ფორტუნამ აქცია ზურგი. არავინ იცის, რა მოხდებოდა, პირველად ინგლისელებს რომ გაეტანათ. სამწუხაროა, რომ ასე არ მოხდა. ჰოდლის ნაკრებმა კარგად ითამაშა. არ შეიძლება ყველაფერი მას დააბრალოთ. იტალიელების გოლის შემდეგ ცხადი გახდა, როგორ გაგრძელდებოდა შეხვედრა. ყველამ უწყის მათი დაცვის სიძლიერე. მე ახალგაზრდული ნაკრებების თამაშიც ვნახე. ორივე შეხვედრის ბედი პირველად გატანილმა გოლმა გადაწყვიტა."

იტალიელთათვის გამარჯვების მომტანმა ჯანფრანკო ძოლამ ინგლისის თასის გათამაშების მეხუთე წრის მატჩის წინ, „ლესტერთან" შეხვედრამდე განაცხადა: „ჩემთვის დიდი პატივი იყო „უემბლიზე" თამაში. ბავშვობიდან ვნატრობდი „უემბლიზე" თამაშს, გოლის გატანაზე კი ფიქრსაც ვერ ვბედავდი. უცნაური გრძნობა გეუფლება, როცა „უემბლიზე" თამაშობ. ეს სტადიონი ყველაზე საუკეთესოა მსოფლიოში. ძალიან მინდა, „უემბლიზე" მეორედაც ვითამაშო. იმედია, ამ სურვილს წელსვე ავიხდენ, როცა „ჩელსი" თასის ფინალში გავა."

ლაშა გოდუაძე

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## "CROCO"

**გერმანიის ჩემპიონატი.** გადადებული მატჩი

18 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზანქტ პაული — ბოხუმი | 2,2 | 2,7 | 2,7 |

**გერმანიის თასი.** მეოთხედფინალი

19 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლსრუე — ბაიერნი | 2,9 | 2,9 | 2,0. |

**გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XIX ტური**

21-23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| დიუსელდორფი — დორტმუნდი | 4,7 | 3,2 | 1,5 |
| ფრაიბურგი — ჰამბურგი | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| ჰანზა — ვერდერი | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| შტუტგარტი — კარლსრუე | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| მიონხენგლადბახი — შალკე | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| ზანქტ პაული — არმინია | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ბოხუმი — ბაიერნი | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| ლევერკუზენი — დუისბურგი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| მიუნხენ 1860 — კიოლნი | 2,1 | 2,8 | 2,8 |

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXVI ტური**

22-24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — უიმბლდონი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| ჩელსი — მანჩესტერ იუნაიტედი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| ქოვენთრი — ევერტონი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ლესტერი — დერბი ქაუნთი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ლივერპული — ბლექბერნი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| მიდლსბრო — ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| ნოტინგემი — ასტონ ვილა | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| საუთჰემპტონი — შეფილდ უენსდეი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| სანდერლენდი — ლიდსი | 2,0 | 2,7 | 3,1 |
| ვესტ ჰემი — ტოტენჰემი | 2,5 | 2,4 | 2,5 |

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXIV ტური**

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — ვულვერჰემპტონი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ბირმინგემი — პორტ ვეილი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ჩარლტონი — ნორვიჩი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| კრისტალ პალასი — ტრანმერი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ჰადერსფილდი — ბოლტონი | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| იფსვიჩი — ოქსფორდი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| მანჩესტერ სიტი — სვინდონი | 1,6 | 3,2 | 4,0 |
| ოლდემი — ბრედფორდი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| რედინგი — საუთენდი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| შეფილდ იუნაიტედი — გრიმსბი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| სტოკ სიტი — ქუინზ პარკი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ვესტ ბრომვიჩი — პორტსმუთი | 2,2 | 2,7 | 2,7 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVII ტური**

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — ნანსი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| რენი — ნანტი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ნიცა — კანი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ოსერი — მონპელიე | 1,35 | 3,2 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ლილი — სტრასბური | 2,5 | 2,4 | 2,5 |
| მეცი — მონაკო | 2,9 | 2,7 | 2,1 |
| ბორდო — მარსელი | 1,6 | 2,8 | 5,0 |
| ლე ავრი — კანი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| პარი სენ ჟერმენი — გინგამი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ლიონი — ლანსი | 1,5 | 3,1 | 5,0 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXI ტური**

23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — უდინეზე | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ვიჩენცა — პიაჩენცა | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| რომა — რეჯანა | 1,1 | 5,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| კალიარი — ვერონა | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ფიორენტინა — იუვენტუსი | 2,6 | 2,6 | 2,3 |
| ინტერი — ატალანტა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ნაპოლი — სამპდორია | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| პარმა — ლაციო | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| პერუჯა — მილანი | 3,8 | 3,0 | 1,7 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი. XXVIII ტური**

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანფერმლაინი — აბერდინი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ჰართსი — რეით როვერსი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| კილმარნოკი — დანდი იუნაიტედი | 3,1 | 2,7 | 2,0 |
| მოზერველი — სელტიკი | 5,6 | 3,3 | 1,4 |
| 1:0 | 2,1 | 3,4 | 1,9 |
| რეინჯერსი — ჰიბერნიანი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „იმერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

# გველეშაპმა მართლაც არ გაგვწირა




შვედეთის ქალაქ სუნდსვალში სპორტის ზამთრის სახეობათა ევროპის ახალგაზრდობის III ოლიმპიურ დღეებში მონაწილე ჩვენს წარმომადგენლებზე ვიმედოვნებდით, რომ ამ ქალაქის მფარველი და თამაშების თილისმა გველეშაპი არ გაგვწირავსო. და აკი გაგვიმართლდა იმედი. გაგვიმართლა და მერე როგორ — როგორც ვოუწყებოდით, 18 წლის თბილისელმა ვახტანგ მურვანიძემ ფიგურულ ციგურაობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს „ვერცხლი“ ჩვენთვის არის არა მხოლოდ პირველი ჯილდო, რომელიც ამგვარი თამაშების ისტორიაში მოვიპოვეთ, არამედ საერთოდ სპორტის ზამთრის სახეობებში პირველი ევროპული მასშტაბის მედალი, გნებავთ ახალგაზრდებს შორის, გნებავთ უფროსებში, მაშინ ვახტანგის მიღწევას მით მეტი წონა დაედება.

გულშემატკივრებს უკვე გავაცანით ვახტანგ მურვანიძე და ამიტომ მასზე აქ აღარ შევჩერდებით. ახლა სხვა მის თანაგუნდელთა გამოსვლებზე მოგითხრობთ. თუმცა ჩვენმა მკითხველმა ისიც იცის, რომ გიგანტურ სლალომში მოასპარეზე 84 ჭაბუკს შორის 46-ე ადგილი დაიკავა თბილისელმა ცოტნე ებრალიძემ, რომელმაც ორი ცდის ჯამში 107,35 აჩვენა (შედარებისთვის — იტალიელ ჩემპიონ კრისტიან ჰაინზის შედეგია 100,84). 58-ე იყო მესტიელი მურთაზ ჯაფარიძე (1.11,97); 65-ე — ბაკურიანელი მიხეილ მიქაბერიძე (1.16,99); ბაკურიანელი რობერტ მახარაშვილი პირველი ცდის მერე შეჯიბრებას გამოეთიშა.

„სარბიელის“ მკითხველს იმასაც შევახსენებთ, რომ გოგონათა შორის მახარაშვილის ბედი გაიზიარა სოფიო ახმეტელმა.

მიუხედავად ამისა, ამ სახეობაში ჩვენმა სპორტსმენებმა, წინა თამაშებთან შედარებით უკეთესი შედეგები აჩვენეს.

იგივე უნდა ითქვას სლალომზეც. აქ სოფიო ახმეტელმა 71 მონაწილეს შორის ორი ცდის ჯამში 1.41,28 აჩვენა და 29-ე ადგილი დაიკავა (გამარჯვებულმა შვეიცარიელმა სანდრა ლოქმატერმა — 1.29,46).

ამავე სახეობაში მოასპარეზე რობერტ მახარაშვილმა 86 მონაწილეს შორის 34-ე ადგილი (1.51,79) დაიკავა (გამარჯვებულმა შვედმა ბიორნ სელანდერმა 1.30,37 აჩვენა). დანარჩენმა ჩვენმა სპორტსმენებმა — მიხეილ მიქაბერიძემ და მურთაზ ჯაფარიძემ სხვა 37 მონაწილესთან ერთად, შესაბამისად პირველ და მეორე ცდაზე დისტანცია ვერ დაამთავრეს, ხოლო ცოტნე ებრალიძემ სხვა ორი სლალომისტის ბედი გაიზიარა და მეორე ცდაზე კარის გამოტოვებისთვის დისკვალიფიკაცია დაიმსახურა.

არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს წარმომადგენლები ვახტანგ მურვანიძის „ვერცხლის“ წყალობით მოხვდნენ 41 მონაწილე ქვეყნიდან იმ 19 სახელმწიფოს გუნდებს შორის, რომლებიც უმედლოდ არ დარჩენილან.

ყველას აჯობეს იტალიელებმა, რომლებმაც 7 ოქროს, 5 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მეორე იყო რუსეთის (შესაბამისად 7, 4, 3), ხოლო მესამე — მასპინძელთა გუნდი (7, 4, 1).

საქართველოს დელეგაცია მე-13 ადგილზე აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა იმ ერთადერთი ვერცხლის წყალობით უკან ჩამოიტოვეს ისეთი დიდი ქვეყნების დიდი დელეგაციები, როგორებიც არიან ამჯერად თითო „ბრინჯაოს“ მფლობელნი: დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, უკრაინა, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. აღარას ვამბობთ უმედლოდ დარჩენილებზე.

და მაინც, ეს ყველაფერი დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს — ჰორიზონტზე ახალი ვახტანგ მურვანიძე ჯერჯერობით არა სჩანს.

**ავთანდილ ბუჩიძე**



თამაშების ვერცხლის პრიზიორი ვახტანგ მურვანიძე



# პარიზის მერე მიუნხენში

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები, რომელიც გასულ კვირას პარიზის ტურნირიდან დაბრუნდა, ზეგ მიემგზავრება მიუნხენს, სადაც მონაწილეობას მიიღებს ასევე უმაღლესი, A კატეგორიის ტურნირში. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ამჯერად შემდეგი ძიუდოისტების გამოცდა გადაწყვიტა: ნესტორ ხერგიანი (60 კგ), გიორგი ვაზაგაშვილი, გიორგი რევაზიშვილი (ორივე 65 კგ), ზაზა გულიაშვილი (78 კგ), სოსო ლიპარტელიანი (86 კგ), ივერი ჯიქურაული (95 კგ), ალექსი დავითაშვილი, რამაზ ჩოჩიშვილი (ორივე — მძიმე).

ქართველი ძიუდოისტები სამშობლოში ერთ კვირაში დაბრუნდებიან.



## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

14 თებერვალი

სიეტლი — ჰიუსტონი 105:85, ვანკუვერი — ბოსტონი 109:106, გოლდენ სტეიტი — სან ანტონიო 108:94, ფინიქსი — კლიპერზი 110:93, მინესოტა — ორლანდო 104:100, ჩიკაგო — ატლანტა 89:88, ვაშინგტონი — ნიუ ჯერსი 125:107, დეტროიტი — შარლოტი 109:103, მილუოკი — ტორონტო 106:102

15 თებერვალი

მაიამი — ფილადელფია 125:99, ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი 107:86, ატლანტა — სან ანტონიო 109:89, მილუოკი — დენვერი 92:87, იუტა — დალასი 99:84, პორტლენდი — ჰიუსტონი 109:105

16 თებერვალი

ნიუ იორკი — ინდიანა 89:80, დეტროიტი — ტორონტო 92:89, სიეტლი — ლეიკერზი 102:91, მინესოტა — ფინიქსი 107:96, ჩიკაგო — ორლანდო 110:89, დენვერი — ფილადელფია 112:97, საკრამენტო — გოლდენ სტეიტი 105:85, პორტლენდი — ბოსტონი 118:106

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 39 | 12 | 76,5 |
| ნიუ იორკი | 37 | 14 | 72,5 |
| ორლანდო | 24 | 24 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 23 | 27 | 46,0 |
| ნიუ ჯერსი | 15 | 35 | 30,0 |
| ფილადელფია | 12 | 38 | 24,0 |
| ბოსტონი | 11 | 39 | 22,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო | 45 | 6 | 88,2 |
| დეტროიტი | 37 | 13 | 74,0 |
| ატლანტა | 33 | 16 | 67,3 |
| შარლოტი | 30 | 21 | 58,8 |
| კლივლენდი | 27 | 22 | 55,1 |
| მილუოკი | 24 | 26 | 48,6 |
| ინდიანა | 23 | 26 | 46,9 |
| ტორონტო | 17 | 33 | 34,0 |

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 36 | 14 | 72,0 |
| ჰიუსტონი | 33 | 18 | 64,7 |
| მინესოტა | 25 | 26 | 49,0 |
| დალასი | 16 | 31 | 34,0 |
| დენვერი | 17 | 35 | 32,7 |
| სან ანტონიო | 12 | 37 | 24,7 |
| ვანკუვერი | 11 | 43 | 20,4 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერზი | 37 | 14 | 72,5 |
| სიეტლი | 35 | 15 | 70,0 |
| პორტლენდი | 28 | 24 | 53,8 |
| საკრამენტო | 23 | 29 | 44,2 |
| კლიპერზი | 20 | 27 | 42,6 |
| გოლდენ სტეიტი | 19 | 30 | 38,8 |
| ფინიქსი | 19 | 33 | 36,5 |

### მაიამურ — დალასური ბარტერი

კვირის ბოლოს „მაიამი ჰითმა“ და „დალას მავერიქსმა“ ივაჭრეს და ერთმანეთს შემდეგი მოთამაშეები გაუცვალეს: „მაიამიმ“ მიიღო ფორვარდი ჯამალ მაშბერნი, მის სანაცვლოდ კი ერთდროულად სამ მოთამაშეს შელია — იუგოსლაველ პრედრაგ დანილოვიჩს, კურტ თომასს და ესტონელ ახალბედას მარტინ მიურსეპს.

### კემპი და ბარკლი დააჯარიმეს

„სიეტლ“ — „ჰიუსტონის“ პარასკევის მატჩში ერთბაშად ორი ოლ-სტარელი მოთამაშე გააძევეს. სიეტლელმა შონ კემპმა მესამე მეოთხედში მუშტი გაარტყა მეტოქეს კევინ ვილისს. არც ეს დარჩა ვალში და ჩხუბიც დაიწყო. კემპი მოედნიდან გააგდეს და 3 ათასი დოლარითაც დააჯარიმეს. ვილისს მხოლოდ ათასის გადახდა მოუწევს. სანამ ესენი ჩხუბობდნენ, ჰიუსტონელი ჩარლზ ბარკლი სათადარიგოთა სკამიდან წამოვარდა და თანაგუნდელს მიეხმარა. ეს საქციელი სერ ჩარლზს გაგდებად და 2 500-დოლარიან ჯარიმად დაუჯდა. ორივე ოლ-სტარელს თითომატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს: ბარკლიმ შაბათს გამოტოვა მატჩი „პორტლენდთან“, ხოლო კემპმა კვირას — „ლეიკერზის“ წინააღმდეგ.

**საკალათბურთო კლუბი „ვითა“ თანაუგრძნობს ეროვნული ნაკრებისა და „ვითას“ წევრს დავით უსტიაშვილს დედის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

14 თებერვალი. ვაშინგტონი — ტამპა 5:4, დალასი — დეტროიტი 4:3

15 თებერვალი. ჰართფორდი — ოტავა 2:1, მონრეალი — ნიუ ჯერზი 1:4, აილენდერზი — ფლორიდა 1:0, ფილადელფია — პიტსბურგი 5:1, ტამპა — ვაშინგტონი 4:1, ჩიკაგო — რეინჯერზი 2:0, სენტ ლუისი — კოლორადო 2:5, ფინიქსი — ბოსტონი 5:4, კალგარი — ტორონტო 3:0, ვანკუვერი — ანაჰაიმი 4:2, ლოს ანჯელესი — ედმონტონი 2:2

16 თებერვალი. პიტსბურგი — ფილადელფია 2:6, ბუფალო — სან ხოსე 6:2, ოტავა — ჰართფორდი 4:2, ფლორიდა — დეტროიტი 2:4

უქმეებზე აღმოსავლეთის ექვსმა კლუბმა ორდღიანი დუელი გამართა. საყურადღებო, უდაოდ, კონფერენციის ლიდერების — ფილადელფიისა და პიტსბურგის

# მფრინავებმა შავი დღე აყარეს პინგვინებს

შეხვედრა იყო. ამათ სპეციალისტები ფინალში გასვლას უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ „პინგვინებმა“, შეიძლება ითქვას, ჩაშალეს გენერალური რეპეტიცია. მას შემდეგ, რაც პიტსბურგი დეტროიტთან დამატებით დროში დამარცხდა, აშკარა კრიზისი დაეტყო. ბოლო ოთხი მატჩიდან ფავორიტებმა ვერცერთში მიაღწიეს წარმატებას. მარცხი მარცხად, პიტსბურგელებმა 22 შაიბაც (!) გაუშვეს. ორივე შეხვედრაში მეტოქეები კარგა ხანს თანაბრად იბრძოდნენ, მაგრამ ბოლო პერიოდში პიტსბურგი მოდუნდა — ლიდერების დაღლამ იჩინა თავი. ფილადელფიის ლიდერმა ლეკლერმა (2+1) 35 შაიბამდე გაზარდა საგოლე მარაგი და ეს ლინდროსის არყოფნაში მოახერხა. ჩემპიონატის მთავარმა სნაიპერმა 45-ე შაიბა შეაგდო, ლემიემ კი ორი პასი იკმარა.

დანარჩენ ორ დუელში ვერცერთმა გუნდმა მიაღწია უპირატესობას. არადა, ამ დუელში გამარჯვებულებს ფლეი-ოფში გასვლის მეტი შანსი ეძლეოდათ. ჰართფორდმა (1 მოგება წინა 7 მატჩში) და ტამპამ (1 მოგება 8 მატჩში) შეწყვიტეს უიღბლო სერიები. ოტაველთა ლიდერმა იაშინმა 28-ე შაიბა შეაგდო. [illegible]რველ თამაშში ჰართფორდის მოგება კი პრიმოს (2 შაიბა) უდაო დამსახურება იყო. ვაშინგტონში მესამე პერიოდამდე მასპინძლები იგებდნენ 4:1 (კლუბის ლიდერმა ბონდრამ (1+1) 35-ე შაიბა შეაგდო), შემდეგ ტამპამ გაათანაბრა, მაგრამ ოვერტაიმში ბედმა უმტყუნა.

ორი მეტად მძიმე შეხვედრა ჩაატარა დეტროიტმა. ჯერ იყო და, „ფრთებმა“ ორი ქულა დაკარგეს დალასთან დამატებით დროში (პირველი წაგება ოვერტაიმში). უნდა ითქვას, რომ მატჩის მსვლელობისას ისინი სულ წინ იყვნენ, რაკი ჩინებულად იყენებდნენ რიცხობრივ უპირატესობას, მაგრამ დალასმა ბოლო წუთზე გაათანაბრა, ოვერტაიმში კი სეზონში პირველი შაიბა შეაგდო კენედიმ. ასეთი დაძაბული ბრძოლის შემდეგ დეტროიტმა ძალები მოიკრიბა და ლიდერების — შენაჰანის (2+1 ორ მატჩში) და აიზერმანის (1+3, 16) ძალისხმევით ფლორიდის დაცვა მოშალა. აღნიშვნას იმსახურებს შენაჰანის მიერ ბოლო 4 მატჩში გატანილი 8 შაიბა. იგი ფინიქსელ ტკაჩუკთან ერთად 37 გოლით ოდნავ ჩამორჩება ლემიეს (39).

8 მატჩში დაუმარცხებელ ფლორიდას შაბათს ნიუ ორკში მოეცარა ხელი. ერთადერთი შაიბა ოვერტაიმში პოლიციელმა ლაპოინტმა (5) გაახერხა. აილენდერზის გოლკიპერმა სალომ მესამე „მშრალი“ მატჩი (29 მოგერიება) ჩაატარა.

ფლორიდასგან განსხვავებით, ნიუ ჯერზიმ კიდევ ერთი თამაშით გაახანგრძლივა თავისი [illegible] სერია და [illegible] რეკორდიც გაიმეორა (10 მატჩი). მორიგი გამარჯვება „ეშმაკებმა“ მონრეალში მოიპოვეს, სადაც პირველივე პერიოდში გატეხეს არასტაბილური კანადელები. კლუბის მთავარმა სნაიპერმა, ვეტერანმა ანდრეიჩუკმა 1050-ე ქულა შეიძინა.

ჩიკაგოში მასპინძელთა მეპასე ჟამნოვმა (1+1, 11) და გოლკიპერმა ჰეკეტმა (17 მოგერიება) გასაქანი არ მისცეს ძალზე შედეგიან რეინჯერზს. გრეცკი უკვე მე-18 თამაშში დარჩა უგოლოდ, მისმა გუნდმა კი ზედიზედ მესამედ წააგო.

კიდევ ერთი „მშრალი“ მატჩი (სეზონში მესამე) მიითვალა კალგარელმა კიდმა, მისმა კლუბმა კი უსუსური ტორონტო დაჯაბნა და ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა.




კალგარელმა აიჯინლამ გამოცდილი გილმორი დაჩრდილა

ძმებმა სვინებმა (ორივე — 5 პასი) და ტექნიკურმა მეპასე უოთსმა (18 შედეგიანი თამაში) ვერ უშველეს ბოსტონს (1 ქულა 6 მატჩში), რომელიც სულ უფრო და უფრო დაბლა ეშვება. რაც შეეხება სენტ ლუისის სნაიპერ ჰალს, მას კოლორადომ 16 მატჩიანი ქულიანი სერია შეაწყვეტინა. შვედმა ფორსბერგმა კი, რომელიც თანდათან შედის ფორმაში, ორი პასი გააკეთა.

ანაჰაიმმა ამჯერად ვერაფერი გააწყო ვანკუვერთან. კლუბი, რომელიც ურიგოდ არ გამოიყურება და ლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი სელიანე (33) — კარიას (26) დუეტიც ჰყავს, თასზე გასასვლელად მებრძოლ უახლოეს კონკურენტებს უკვე ოთხი ქულით ჩამორჩება.

ბოლოს, ტრადიციულად, მიღწევებზე. ბოსტონელმა ოუთსმა კარიერაში მე-700 პასი გააკეთა, ასევე განთქმულმა ტამპელმა სისარელიმ კი 573-ე შაიბა შეაგდო და ნოსის მე-9 ადგილს ედავება. ამ წყვილს ორიოდე გოლით ჩამორჩება მესიე.

**სამველ ღარიბიანი**

ბომბარდირები: ლემიე 91 (39+52), იაგრი (ორივე პიტსბურგი) 87 (45+42), გრეცკი (რეინჯერზი) 75 (16+59), სელიანე (ანაჰაიმი) 74 (33+41), სუნდინი (ტორონტო) 70 (32+38), ფრენსისი (პიტსბურგი) 68 (21+47), შენაჰანი (დეტროიტი) 66 (37+29), ლეკლერი (ფილადელფია) 66 (35+31), მესიე (რეინჯერზი) 64 (32+32).



# წლევანდელი შარშანდელს სჯობს

საქართველოს მძლეოსანთა ჩემპიონატს ფედერაციის მესვეურებმა, რომ იტყვიან, მარილიც მოაყარეს და შეჯიბრებაც ლაზათიანი გამოდგა: თბილისის მძლეოსნობის სასახლეში მაია აზარაშვილის, თამრიკო შანიძისა და რუსლან რუსიძის გარდა ყველა ჩვენი საუკეთესო მძლეოსანი შეიყარა. ვთქვათ სიმართლე: ბევრს სხვა ქვეყანასთან შედარებით საქართველოს ჩემპიონატი იქნებ მოსატანიც არ არის, მაგრამ თუ წინა წლებში გამართულ საშინაო ჩემპიონატებს გავიხსენებთ, პროგრესი აშკარაა — წლევანდელმა ჩემპიონატმა ქართულ მძლეოსნების თავკაცებს იმედი ჩაუსახა და სამომავლოდ ოპტიმისტურად განწყო. სამხტომელი ვასილ მახარაძე 15,96 მეტრზე გადახტა. ათენში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად მახარაძეს ამ შედეგის გაუმჯობესება მოუწევს — ჩემპიონატის ლიცენზიის მოსაპოვებლად მოსკოვში, ძმებ ზნამენსკების მემორიალზე 16,50 მეტრზე უნდა გადახტეს: დათო ნიკოლაიშვილმა და ბადრი ბადრიძემ 60 მეტრი 6,7 წამში გაირბინეს. შარშანდელთან შედარებით შედეგიც გაუმჯობესებულია და ბადრიძესაც და ნიკოლაიშვილსაც საათენო ნაკრებში მოხვედრის შანსი აქვთ. ურიგოდ არც სპრინტერ აიდა ტოროსიანს და სიგრძეზე მხტომელ მამუკა წიკლაურს უასპარეზიათ. საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ყარამან საბანაშვილმა პერსპექტიულ სპორტსმენებად მოიხსენია სერგო ტურიაშვილი და დავით ილარიანი. ამ ბიჭებმა თავიანთ სახეობებში საკმაოდ დამაჯერებლად გაიმარჯვეს.

**გოგონები:**

200 მ: ნინო ბაგაშვილი (თბილისი);
800 მ: ქეთინო აბრამიძე (ვანი);
3 000 მ: თეა მოდებაძე (ვანი);
სიგრძეზე ხტომა: მარგალიტა ლომიძე (თბილისი).

**ვაჟები**

200 მ: ბადრი ბადრიძე (თბილისი);
800 მ: დათო გოგოლაძე (ბორჯომი);
3 000 მ: ვიქტორ სურიკოვი (ახალციხე);
სიგრძეზე ხტომა: მამუკა წიკლაური (თბილისი).

The 1997 5 Nations

# ხუთი ერის პირველობა



III ტური. 15. 02

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 87: 19 | 10- 1 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 59: 37 | 8- 3 | 4 |
| უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 81: 72 | 10- 8 | 2 |
| ირლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 47:103 | 3-13 | 2 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 32: 75 | 2- 8 | 0 |

ბოლოსწინა, IV ტური: 1. III: ინგლისი — საფრანგეთი, შოტლანდია — ირლანდია

# ზოგჯერ ქირიც მარგებელია

დუბლინი. ლენზდაუნ როუდი. 52 ათასი

**ირლანდია 6:46 ინგლისი**

(6:11). მსაჯი ჰოქი (ახალი ზელანდია)

ირლანდია: სთეიფლზი (კაპ); ჰიქი, ბელი, ფილდი, თოფინგი; ელვუდი (დ. ჰამფრიზი 24), ჰოგანი (ომირა 65) — ფოფლველი, ნიზდეილი, ვოლისი; ჯონსი, დევიდსონი; ქოქრი, მაკბრაიდი, მილერი (ფოლი 12). — 2ს: ელვუდი (10, 16)

ინგლისი: სთიმფსონი; სლაითჰომი, ქარლინგი (გასქოთი 77), დეგლენვილი (კაპ), თ. ანდერვუდი; გრეისონი, გომერსოლი (ჰიილი 75) — რაუნთრი, რეგანი, ლენარდი; ჯონსონი, შოუ; დალალიო, ჰილი, როდბერი. — 6ლ: სლაითჰომი (18, 73), გომერსოლი (64), ჰილი (76), ანდერვუდი (78, 80); 2გ (64, 78) და 4ს (14, 21, 42, 49): გრეისონი

პარიზი. პარკ დე პრენსი. 46 ათასი

**საფრანგეთი 27:22 უელსი**

(20:10). მსაჯი მარშალი (ავსტრალია)

საფრანგეთი: სადურნი; ლეფლამონი, დურთი (ოკანი 23), გლასი, ვანდიტი; ლამეზონი, კარბონო — კალიფანო, დალმაზო, ჟორდანა; მიორენი (მანი 54), მერლი; ბენაზი (კაპ), კასტელი, პელუ. — 4ლ: მერლი (3), ლეფლამონი (34, 64), ვანდიტი (36); 2გ: დურთი (3), ოკანი (64); ს: ოკანი (40)

უელსი: ნ. ჯენქინსი; ი. ევანსი (ჯ. დევისი 58), გიბსი, ბეითმენი, გ. თომასი; ა. თომასი, ჰაული — ლოუდერი, ჰამფრიზი (კაპ), იანგი; ჰლუელინი, რაული; ვილიამსი, ჩარვისი, სქ. ქვინელი. — 3ლ: გ. თომასი (15), ბეითმენი (49), ჰაული (68); 2გ (15, 49) და ს (21): ჯენქინსი

ინგლისმაცა და საფრანგეთმაც რომ მოიგეს, ცხადი შეიქნა, ჩემპიონი ორი კვირის შემდეგ მათს შებმაში გამარჯვებული რომ გახდება. ინგლისს საქმე უკეთა აქვს: ერთი, რომ კონკურენტს შინა ხვდება, და მეორეც: ბოლო ტურში უელსთან სტუმრად რომც წააგოს, ბურთების ბევრად უკეთესი სხვაობის წყალობით საფრანგეთს მაინც აჯობებს.

ინგლისმა დუბლინში მეთოდურად ძლია თავდადებული ირლანდია. მასპინძლებს მატჩის დებიუტშივე გამოაკლდნენ დამრტყმელი ელვუდი და ზორბა მილერი. ვიდრე ესენი მოედანზე იყვნენ, ირლანდია მეტოქეს უძალიანდებოდა და პრაგმატული ტაქტიკის ხარჯზე ორჯერ კიდეც დაწინაურდა, მაგრამ სტუმართა უფრო დიდმა შერკინებამ მერე იძალა, გრეისონმა კი ზუსტი დარტყმებით გუნდს საკმაო მარაგი შეუქმნა 17:6. ისე კი, ირლანდიის მორკინალთა რვეულის 7 წევრი (მაკბრაიდის გამოკლებით) ინგლისის ბობოლა კლუბებში თამაშობს.

გარდატეხა ბოლო მეოთხედში მოხდა. ქარლინგმა მარაოში კაცის გამოტოვებით სთიმფსონი გააქცუნა. იგი ლელოსთან ალაგმეს, მაგრამ იქვე გაწართული შერკინებიდან გომერსოლი ლელოში შევარდა.

ბოლო 8 წუთში სტუმრებმა რბევა მოაწყვეს — ორი ტაქტიკური შეცვლა განახორციელეს და ოთხი ლელოც გაიტანეს. უმცროსმა ანდერვუდმა სატესტო მონაგარი 12-მდე გაზარდა. თონიმ ერთი ლელო მულატი ჭერი გასქოთის გარღვევის შემდეგ გაიტანა. ამ ვარსკვლავის სათადარიგოთა სკამზე დამსმელ გუნდს, ეტყობა, მართლაც კარგადა აქვს საქმე.

ლიდერთა დაშავებამ ირლანდია თუ წაახდინა, საფრანგეთს, პირიქით, არგო. რიშარ დურთი სანამ მხარს იღრძობდა, ექს-ლიგელ ალან ბეითმენს ვერ უმკლავდებოდა. უელსი ამისი წყალობით მეტოქის დაცვის მწყობრს მალი-მალ არღვევდა.

მასპინძლებს საქმე თავიდანვე კარგად წაუვიდათ: კარბონომ უმალ გაათამაშა საჯარიმო და ყოფილ ტყის-მჭრელ მერლს მოკლე ფრთაზე ძალისმიერი ლელო გაატანინა 7:0.

მერე ფრანგების შერკინებამ ბევრი ბურთი კარგა რაქებსა და მოლებში. გარემარბ თომასის რეიდის შემდეგ შერკინება მეტოქის ლელოსთან გაიმართა, იქედან კი სტუმრებმა ოსტატურად შეუტიეს მოკლე ფრთაზე. მალე, ვეტერან ევანსის განავარდების შემდეგ, უელსი საჯარიმო გოლს დაჯერდა 7:10.

მერე დაშავდა დურთი. მის ნაცვლად შუამარბად დადგა კრისტოფ ლამეზონი, 10 ნომრად კი შევიდა ჯეელი დავიდ ოკანი, შარშან სტუდენტთა მსოფლიო თასის მომგებ გუნდში რომ თამაშობდა. ლამეზონმა პირადად გააჩალიჩა სამი ლელო!

ჯერ იყო და ბურთი ფეხით ლელოსკენ ოსტატურად გაუგდო ლეფლამონს. უელსმა თამაში მოედნის შუაგულიდან რომ განაახლა, ლამეზონი ლიობში შეიჭრა და სალელოე პასი მისცა ვანდიტის. კრისტოფს თავად ორივე გარდასახვა გაუცუდდა და ტაიმის ბოლოს დამრტყმელობა მისგან გადაიბარა ოკანმა 20:10.

უელსმა შესვენების შემდეგ შეუტია. 10 ნომერმა თომასმა თავისი მოგვარე გარემარბი და ევანსი ლელოსკენ გაისტუმრა, ამათი ძალისხმევა კი ბეითმენმა დააგვირგვინა 20:17. მერე სტუმრების მცველ ჯენქინსს წინა ტურის მსგავსად კურიოზი შეემთხვა: ოკანის უხეირო არეკნი ვერ მოიგერია, ლამეზონმა ცხვირწინ ააცალა ბურთი და ლეფლამონმა დუბლი შეასრულა 27:17.

უელსმა მაინც ბოლომდე იბრძოლა. ექს-ლიგელი ქვინელის გარღვევა ჰაულიმ გააგრძელა 27:22, ბოლო წუთებზე კი ბეითმენმა სალელოე პასი დაუგვიანა ასევე ექს-ლიგელ გიბსს. სტუმრებმა კრიტიკულ მომენტში შერკინება თავიანთ შეგორებაზე წააგეს.

ნამატჩევს უელსელთა კაპიტანმა ჯონათან ჰამფრიზმა შენიშნა, ფრანგებს რამდენი შანსიც მიეცათ, იმდენი გამოიყენესო.



რიშარ კასტელი (ბურთით), აბდელ ბენაზი (მაღალი) და მარკ დალმაზო მიარღვევენ უელსის დაცვას

როიტერი
პარიზიდან



ქალთა ჩოგბურთს აზრი თანდათან ეკარგება. 16 წლის შვეიცარელი მარტინა ჰინგისი ყველაფერს იგებს!

კვირას სლოვაკეთში დაბადებულმა [illegible] ვეშა პირველობის ფინალში წარმოუდგენლად ძლია 22 წლის ანკე ჰუბერი 6:3, 3:6, 6:3, ჩეხ იანა ნოვოტნასთან [illegible] გამარჯვებულიც გახდა. ჩემპიონებმა ფინალში [illegible] 6:0 [illegible] ფიუზეს (საფრანგეთი) და რიტა გრანდეს (იტალია).

ნახევარფინალები: ჰინგისი (1) — ივა მაიოლი (ხორვატია, 4) 6:1, 6:3; ჰუბერი (3) — ნოვოტნა (2) 6:3, 6:4. მეოთხედფინალები: ჰინგისი — ნატალი ტოზია (საფრანგეთი) 6:3, 6:2; ნოვოტნა — მარი პიერსი (საფრანგეთი, 8) 6:1, 6:2; ჰუბერი — ირინა სპირლეა (რუმინეთი, 5) 6:4, 6:2; მაიოლი — იაიუკ ბაზუკი (ინდონეზია) 7:6, 3:6, 6:3

ჰინგისმა ახალი წლის აქეთ ზედიზედ ოთხი ტურნირი მოიგო და მედიზედ 18 მატჩში გაიმარჯვა. გოგო ახლა ორი კვირით შეისვენებს და გააცდენს ფედერაციის თასის პროგრამით შვეიცარიის ნაკრების სლოვაკეთში სტუმრობას. იქნებ იმიტომ, რომ მატჩის ადგილას — კოშიცეში მამამისს არ გადაეყაროს.

სან-ხოსეში (კალიფორნია, აშშ), „საიბეიზის“ ღია პირველობაზე, ამერიკული ჩოგბურთის ნაღები შეიკრიბნენ, მაგრამ საზოგადოება მოხიბლეს არა მათ, არამედ ცაცია ბრიტმა გრეგ რუზეცკიმ, აქამდე მსოფლიო 39-ე ჩოგანი რომ იყო.

გრეგმა (7) მეოთხედფინალში გააგდო მაიქლ ჩანგი (აშშ, 2) 7:6 (7-4), 6:4, ნახევარფინალში კი ტრავმებმოშუშებულ და დასვენებულ ანდრე აგასის (აშშ, 3) 6:3, 6:4 მოუგო. ფინალში რუზეცკი ეომა პიტ სამპრასს (აშშ, 1) და პირველ ხელში 6:3 კიდეც აჯობა, მაგრამ მერე ველარ გაუძლო მაჯის ტკივილს და მეორე ხელს 0:5 და 0-30 რომ აგებდა, დანებდა.

სამპრასმა ამგვარად მოიპოვა კარიერის 46-ე ტიტული და მე-12 დაიცვა. შარშანდელ სან-ხოსეულ ფინალში პიტმა აგასი დაამარცხა.

მეორე ნახევარფინალი: სამპრასი — თოდ მარტინი (აშშ, 4) 6:2, 6:3. დანარჩენი მეოთხედფინალები: სამპრასი — ქრის ვუდრაფი (აშშ) 6:2, 6:3; აგასი — გრანთ დოილი (ავსტრალია) 6:2, 6:1; მარტინი — რიჩი რენებერგი (აშშ, 5) 6:1, 6:4

ჯერ კიდევ შარშან, უიმბლდონში დაშავებული მაჯა ისევ წამოტკივდა გერმანელ ბორის ბეკერს, ოღონდაც არაბთა საამირო დუბაის ღია პირველობაზე. ამის გამო ბეკერი (7) მეოთხედფინალში უთამაშებლად დანებდა გორან ივანიშევიჩს (ხორვატია, 1). ბორისმა ბრძანა, მაჯამ ისე შემაწუხა, რომ ხელს ველარავის ვართმევ და ვერც ბოთლსა ვხსნიო.

სხვა მეოთხედფინალები: თომას მუსტერი (ავსტრია, 2) — კრისტიან რუუდი (ნორვეგია) 6:4, 6:7, 7:5; ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 3) 6:2, 6:2; ჯიმ კურიე (აშშ) — ვეინ ფერერა (სამხრეთი აფრიკა, 4) 6:2, 7:5

**ნახევარფინალები: ივანიშევიჩი — ნოვაკი 6:1, 3:6, 6:3; მუსტერი — კურიე 7:6 (7-3), 2:6, 6:3. ფინალი: მუსტერი — ივანიშევიჩი 7:5, 7:6 (7-3).**

29 წლის ავსტრიელმა 43-ე ტიტული მოიხვეჭა, ამასთან — ოდენ მესამე ხისტ კორტზე. გამარჯვებულს ჯილდოდ 142 ათასი დოლარიც ერგო. გორანმა უამრავი შანსი დაფლანგა. ავსტრიელი მეორე ხელში 4 სეთ-პოინტს დაუძვრა. გორანმა ინერვიულა, ჩოგანი იატაკს დაანარცხა, ბოთლი მოისროლა და ქულით დაჯარიმდა კიდეც.

მუსტერმა სამადლობელ სიტყვაში შენიშნა, რომ რაკი მეტწილად ღამ-ღამობით უწევდა თამაში, დღისით ეძინა. გორანზე არანაკლებ ჭირვეულმა თომასმა შანსი ხელიდან არ გაუშვა და მაყურებლები დატუქსა, როცა ბურთი თამაშდება, ნუ დაიღრიალებთო.

ნაადრევად დასრულდა მარსელის (საფრანგეთი) ღია პირველობის ფინალიც: მარსელო რიოსს (ჩილე, 1), ვინაც აეროპორტში ბარგი დაკარგა, გასახდელიდან კი პირადი ნივთები მოპარეს, თეძო ეტკინა და დანებდა შვედ თომას ენკვისტის (2), ვინაც იმ მომენტში 6:4, 1:0 უგებდა.

# მთის თხილამურები

**მსოფლიოს**

SESTRIERE '97
CAMPIONATI MONDIALI DI SCI ALPINO FIS

F I/S

**25-ე პირველობა**

## სესტრიერე (იტალია)

13-15. 02. ქალთა კომბინაცია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | რენატე გეჩლი (ავსტრია) | 3.03,38 | 1.28,75 | 1.34,63 |
| 2 | კატია ზაიცინგერი (გერმანია) | 3.03,42 | 1.28,27 | 1.35,15 |
| 3 | ჰილდე გერგი (გერმანია) | 3.03,46 | 1.28,22 | 1.35,24 |
| 4 | მორენა გალიციო (იტალია) | 3.03,68 | 1.25,92 | 1.37,76 |
| 5 | მარლიზ ესთერი (შვეიცარია) | 3.03,73 | 1.26,89 | 1.36,84 |
| 6 | ფლორანს მანადა (საფრანგეთი) | 3.03,92 | 1.29,79 | 1.34,13 |

თითქო ბუნებაც ხვდებაო კომბინაციის არა-ბუნებრიობას, ხუთშაბათს ტაროსი დაატეხა თავს მის ჩათვლაში შემავალ დაშვებას: ისეთი ქარი ამოვარდა, რომ თოვლი ტრასას მიაყარა, დამცავი ბადეები კი დაგლიჯა. ორგანიზატორებს ვერც იმან უშველა, რომ სტარტი სუპერ-გიგანტის საწყის წერტილამდე ჩაიტანეს.

დაშვება პარასკევისთვის გადაიდო, საღამოს კი მაინც გაიმართა სლალომის ორივე ცდა. პირველ მათგანზევე მოეცარა ხელი მსოფლიო თასის ლიდერს, შვედ პერნილა ვიბერგს და გავარდა. არადა, ამ 26 წლის ოსტატს ოლიმპიადებსა და მსოფლიო პირველობებზე ხუთი ოქრო აქვს მოგებული, 90-იან წლებში უოქროოდ ერთხელაც არ დარჩენილა, სესტრიერეში სლალომიდანაც გავარდა, სხვა ორ სახეობაში კი VI და VII ადგილები დაიკავა.

შეჯიბრში 14 ქვეყნის ოდენ 26 ქალი ჩაება. დაწინაურდნენ სლალომის სპეციალისტები გალიციო და ესთერი. ლიდერ იტალიელს 2,3 წამით ჩამორჩებოდნენ გერგი და ზაიცინგერი, რაც იმას მოასწავებდა, რომ დაშვების შემდეგ კვარცხლბეკზე ორივე გერმანელი მოხვდებოდა.

პარასკევ დილით ქარი არ ჩამდგარა, თოვამ კი იმატა, მაგრამ საღამოსკენ გამოიდარა. ორგანიზატორებს ჩემპიონატის გაგრძელება აცდათ, თორემ ეკონომიკურად მეტად იზარალებდნენ. გადაწყდა, რომ შაბათ დილიდან ჯერ საჩემპიონატო დაშვება გამართულიყო, მერე კი — კომბინაციის ჩათვლაში შემავალი.

15. 02. ქალთა დაშვება

**1. ჰილარი ლინდი (აშშ) 1.41,18; 2. ჰაიდი ცურბრიგენი (შვეიცარია) ჩამორჩა 0,06 წამით; 3. პერნილა ვიბერგი (შვედეთი) 0,26; 4. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 0,41; 5. ზაიცინგერი 0,57; 6. ვარვარა ზელენსკაია (რუსეთი) 0,89; 7. კაროლ მონტიიე (საფრანგეთი) 0,90; 8. გეჩლი 1,11**

ოლიმპიური ჩემპიონი ზაიცინგერი დილით რომ დაეშვა, მზემ მერეღა გამოაჭყიტა და ტრასა ააჩქარა. სამედლო დაშვება სენსაციურად დასრულდა: გაიმარჯვა 27 წლის ამერიკელმა ქალმა, სპორტისთვის თავის მინებებას შარშანვე რომ აპირებდა, ამ სეზონში კი მსოფლიო თასის ეტაპებზე სამეულში ერთხელაც არ მოხვედრილა. მოულოდნელი იყო ისიც, რომ ვიბერგმა ერთადერთი მედალი მოიპოვა დისციპლინაში, რომელიც არასოდეს მოუგია.


„სარბიელში“

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90


გერმანელებს კომბინაციაშიც გაუწბილდათ იმედი. გაიმარჯვეს არა მათ, არამედ 21 წლის ავსტრიელმა, რომელიც შარშან ამ სახეობაში IV იყო, მსოფლიო თასზე კი ოთხი ეტაპი აქვს მოგებული. ზაიცინგერმა ჩემპიონ გეჩლთან 0,04 წამი წააგო, გერგმა — 0,08. ამ მოგებით რენატემ დიდი შარი ააცილა ავსტრიის თხილამურობის ფედერაციას, რომელსაც მთავრობამ და სპონსორებმა 4 მილიონი დოლარი მისცეს, სანაცვლოდ კი მედლებს ითხოვდნენ. სესტრერეში გახსნილი „ავსტრიული სახლის“ შენახვაც 650 ათასი დაჯდა.

15. 02. ვაჟთა სლალომი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | თომ სტიანსენი (ნორვეგია) | 1.51,70 | 55,81 | 55,89 |
| 2 | სებასტიან ამიე (საფრანგეთი) | 1.51,75 | 54,71 | 57,04 |
| 3 | ალბერტო ტომბა (იტლაია) | 1.52,14 | 56,21 | 55,93 |
| 4 | ოლე-კრისტიან ფურუსეთი (ნორვეგია) | 1.52,34 | 56,82 | 55,52 |
| 5 | ზიგფრიდ ფოგლრაითერი (ავსტრია) | 1.52,65 | 56,64 | 56,01 |
| 6 | თომას შტანგასინგერი (ავსტრია) | 1.53,02 | 55,92 | 57,10 |
| 7 | მიხაელ ფონგრენიგენი (შვეიცარია) | 1.53,06 | 56,46 | 56,60 |
| 8 | ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი) | 1.53,09 | 56,62 | 56,47 |
| 9 | თომას სიკორა (ავსტრია) | 1.53,30 | 55,73 | 57,57 |
| 33 | ლევან აბრამიშვილი (საქართველო) | 2.15,32 | 68,15 | 67,17 |
| 40 | დავით ნასყიდაშვილი (საქართველო) | 2.26,31 | 73,25 | 73,06 |

სლალომი ტომბას გედის სიმღერა გამოდგა. ვარსკვლავი ავად იყო, მაგრამ მის სანახავად მისული 20 ათასი თანამემამულე არ გააწბილა და II ცდა ისე გალია, რომ VII ადგილიდან კვარცხლბეკამდე აღზევდა. ამის გამო კიდეც შენიშნა, ათი წლის წინ რომ მოვიპოვე პირველი მედალი, ისიც ბრინჯაოსი იყოო.

ტომბას მემკვიდრე სიკორა I ცდის შემდეგ მეორე იყო, მაგრამ ათეულში ძლივს მოხვდა. ამიე პირველიდან მეორე ადგილამდე დაქვეითდა, „ბატის ჭუჭულმა“ სტიანსენმა კი III ადგილიდან პირველზე აინაცვლა და თქვა, ნაღდი სასწაულია, კვარცხლბეკზე ტომბაზე მაღლა რომ ვდგავარო.

## ბოლოსთვის მოტოვებული სამი სახეობა



სიცხიან ტომბას არად ეპიტნავა I ცდისეული VII ადგილი





როიტერი
სესტრიერედან

დედალ ავსტრიელ ვაჟებს ნამუსი დედაკაცმა — რენატე გეჩლმა მოწმინდა და გუნდს ერთადერთი ოქრო მოუპოვა, ნორვეგიელმა თომ სტიანსენმა კი კარიერაში პირველად ირგუნა მედალი. ისე კი, სესტრიერეში ერთი საგულისხმო ტენდენციაც გამოიკვეთა: მოთხილამურე ჩემპიონები ჭილდოს ლოკავდნენ, ჩაკბეჩდნენ და ეამბორებოდნენ ხოლმე.

| მედალოსნები | I | II | III |
|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 3 | - |
| იტალია | 3 | 1 | 2 |
| შვეიცარია | 2 | 3 | 1 |
| ავსტრია | 1 | - | 3 |
| აშშ | 1 | - | - |
| გერმანია | - | 2 | 2 |
| საფრანგეთი | - | 1 | 1 |
| შვედეთი | - | - | 1 |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მზეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29